



IX წ.

საუკულტო განათლის.

IX წ.

№ 51.

გვირა, 16 დეკემბერი 1901 წელსა.

№ 51.

**შინაარსი:** საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე, მათა აბისის. — საინანგეთის და ტერატერიუმის მე-XIX საუკულტო მათების და საუბარის მიზნები. — ფორესტონენციები. — რესივის ცხოვრება. — საზღვარ-გარეთ. — წერილი ბეთამიდან, ნ. ჩ. — თურილის გამეტების გასამართლება, პ. ვ. — აცილებების და ურთი, მოთხ. გორგისა. — სიტუაცია (ნადსლიდან), თარგ. შეტრენი. — უკადაგის ნიჭები. — შეკვეთი, გამიმისა. — ქართული თეატრის ქუთაისში, კ. შავდიასი. — შეცდ. გასწ. — განცხადებანი.

ამ ნომერში 20 გვერდია.

საბოლოო სამეცნიერო და სალიტერატურო  
ნახატებიანი გაზეთი

## „ბ ბ ბ ლ ი“

(წელიწად მეოთხე)

გამოვა 1902 წელსაც ყოველ კეირა დღეს, ერთიდან სამ თაბახამდე.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიხსევება მეცნამეტე საუკუნის მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩენის) მათი ბიოგრაფიებით. განსაკუთრებული ურადღება მიემცევა ქართველ მოღვაწეებს.

გაზეთი წლიურათ დღის თვილისში 7 მან., თვილის გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თვილისში 3 მ. 50 კ., თვილის გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან., თითო ნომერი სამი შეური. ადრისის გამოცვლა თვილის გარეთ ღირს ორი აბაზი.

სელის მომწერლებს შეკვეთათ წლის ფული ნაწილით შემოიტანონ:

სელის-მოწერა მიღება: თვილისში, წერა კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქარი, სათავად-აზნაურო ქარგაძლია), რეინის გზის სადგურზე—პირველი კლასის ბუჟეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში, ოფიციალ. ქარი, № 12.

ქეთაისში: მოტორთან ლალიქესთან და კ. ბეჭანიშვილის წიგნის მაღაზიაში; პათუმში კ. თაგარიშვილის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალ სენაკში კ. თაგარიშვილის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში კალისტრატე ჭიათურესთან და გერასიმ ბერიძესთან; უვირილაში ივანე არდაშვილთან. დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში. ძველ-სენაკში—არსენ წილიქესთან. ოქურგეთშა—დამენტი შავიშვილთან. საბუჩაში—დიმიტრი მელაძესთან.

ფოსტის ადრესი: თიფლის. რედაქცია „კვალი“.

22 დეკემბერს თვილისის საკულტო დარბაზში გამართულ იქნება წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოთ

## კ რ ნ ვ ე რ ტ ი,

რომლის დასასრულ იქნება ცხვა ქართულ-ევროპიული. საღამოს დისახლისათ ბრძნელება ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა. ბილეთები საზოგადოების კანცელარიაში იყიდება.

საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე.

XV.

მე რომ ზოგიერთი პირებივით გამბედავი ვყოფილიყვავი, ამ ჩემ საუბარს ასეთი სიტყვებით დავიწყებდი: „რა მოხდა“, ანუ „რა ამბავია, რომ მე თითქმის ერთი თვის განმავლობაში გაჩქმებული ვიყავი და ჩვეულებრივათ არ ვსაუბრობდი მკითხველთან?“ ნუ თუ ამ ხნის განმავლობაში არ მომხდარა ისეთი რამ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაზედაც ჩვენ ხმა უნდა ამოგველო? დიახ, ბევრი რამ საყურადღებო მოხდა, მაგრამ ნუ თუ ჩვენი სიჩუმე და ხმის ამოუღებლობა მითქმა-მოთქმას დაბადებს და საზოგადოებას ეჭვში შეიყვანს, რომ ჩვენ ვითომც 『პოზიცია გამოგვეცალოს』, ჩვენი პროგრამისთვის გველალატოს, ან კიდევ 『ჩვენ რწმენებზე ხელი აგველოს?』 მე დარწმუნებული ვარ, რომ არა თუ ერთი თვე, არამედ რამდენიმე წელიწადაც რომ გაჩქმებული ვიყოთ, ჩვენ მკითხველს არავითარი ეჭვი არ დაებადება იმის შესახებ, რომ ჩვენ ჩვენი მოქმედების პროგრამისთვის გველალატოს ან ჩვენ 『რწმენებზე ხელი აგველოს』. და ეს იმიტომ, რომ ჩვენი პოზიცია მკვიდრია და ჩვენი პროგრამა მეტათ ნათელი და ყველასათვის აშკარა. რაც უნდა მოხდეს, ჩვენსა მკითხველმა უკვე იცის, თუ რა თვალით შევხედავთ ჩვენ ამ ახალ მოვლენას, თუ რა მნიშვნელობას მივცემთ მას. სულაც რომ არაფერი არა ვთქვათ რომელიმე მოვლენის ანუ შემთხვევის შესხებ, ისიც იცია, თუ რა არის აშის მიზეზი. ამის ჩვენ კვებნით არ ვამბობთ, და თუ აქ ეს გარემოება აღვნიშნეთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მკითხველისთვის დაგვენავებით, თუ რა განსხვავებაა ამ მხრითაც ჩვენსა და ცნობის ფურცლის „ჯგუფს შორის“ ჯგუფს შორის.

მოვებესნებათ, რომ ერთი თვის განმავლობაში „ცნობურცლის“ მკითხველები მოკლებული იყვენ ბ. არჩილ ჯორჯაძის წერილების კითხვას. და წარმოიდგინეთ, რომ მარტი ეს ამბავი საკმარისი იყო, რომ ჩვენ საზოგადოებასა და უზრუნველ-გაზეთობაში ბ. ჯორჯაძის და მის ამხანაგების შესახებ ათასნაირი მითქმა-მოთქმა და ეჭვი დაბადებულიყო. და აი როგორც იყო ერთი თვის შემდეგ

ბ. ჯორჯაძეს და კომპანიის მიეცათ საშუალება იმავე «ცნ. ფ-ლის» გვერდზე ხელ-ახლა ეკნობებიათ თავის მკითხველებისთვის, რომ ჩვენ ისევ ისა ვართ, რაც ვიყავით, ისევ იმ პოზიციაზე ვდგევართ, ისევ ის პროგრამა გაჟერს და სხვ. და სხვ. და მკითხველის დასაჩუმუნებლათ გაიმეორეს ამ ერთი წლის წინეთ გამოცხადებული პროგრამა, რასაც მაღლიდან ბ. ჯორჯაძის profession de foi დაკრეს. საკვირველია, რა მოხდა ისეთი, რამაც „ცნობის ფურცლის“ ჯგუფი ისე შეარყია და რამაც საზოგადოებაში იმდენი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რომ საჭირო შეიქნა გუშინდელი დეკლაციების განმეორება და მკითხველი საზოგადოების წმუნება, რომ ჩვენ არ გამოგვიცვლია პოზიცია და არ გვიღალატია ჩვენი პროგრამისთვის. ნუ გაგიკირდებათ, თუ გეტივით, რომ ყოველივე ეს მოუხდენია წ.-ქ. გამავრც. საჩ. წრევანდელ საზოგადო კრებას. ეს გარემოება უკვირს თვით „ცნ. ფ-ლის“ ახალ გამოჩეკილ ჯგუფს ანუ პარტიას. «წერა-კითხვის საზოგადოების კრებათ—ვებითხულობთ ჩვენ ამ „ახალი“ პარტიის საპროგრამო წერილში—ჩვენ არ მიგვაჩნია ისეთ შესანიშნავ საზოგადო მოვლენათ, რომლის გამო გაზეთს უნდა გაერჩია თავისი პროგრამა, შეხებოდა თავის მიმართულებასონ» (№ 1661). კარგი და პატიოსანი, მაგრამ ის ხომ ყველასათვის აშკარაა, რომ სწორეთ ამ კრების გამო დახერა «ცნობის ფ-ლის» რედაქციას საშინელმა ქარიშხალმა, რომლის შემდეგ ხსენებული რედაქციის გარევანი მყუდროება თვალის დახამაშამების განმავლობაში სრულიად დაირღვა და წინანდელი მოკავშირენი სხვა-და-სხვა ადგილზე აღმოჩნდენ გარიყულნი, რა თქმა უნდა, ზოგი დამარცხებული და ზოგიც გამარჯვებული.

აქედან აშკარაა, რომ შინაური განხეთქილება დიდი ხნიდან სუველა «ცნობის ფურცლის» რედაქციაში, თორემ წერა-კითხვის საზოგადოების კრება, როგორც ამას თითონაც ამბობენ, აյ რა შეაში იყო. ეს რედაქცია თავიდანეე ყალბ საფუძველზე დარჩა აშენებული. მისი მოკლე ისტორია ასეთია: ამ ერთი წლის წინეთ მისი ხელმძღვანელი შეიქნა ბ. ლალი, ცნობილი თავისი ნახევრათ ლიბერალურ, ნახევრათ ნაროვნიკულ მიმართულებით, ანუ უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, ცნობილი თავისი წვრილ-ბურჟუაზული მისტაფებებით. ამავე დროს ბ-ნ ლალს მიეჩრა, ანუ უფრო მართალი რომ ვთქვათ, შეეკედა ბ. კ. აბაშიძე, გამსჭვალული ფეოდალური აზრებით, დამცველი ძველ წოდებრივ უფლება-უპირატესობათა და გაუღენითილი მისტიურ-რელიგიური აზრებით. ამ ნაირათ წარმოდგა ეს პირველი უხერხული და არაბუნებრივი კავშირი ანუ «დაქორწინება» (ვინმაროთ აქ ბ. ჯორჯაძის საკვარელი ტერმინი!) ორ სულ სხვა-და-სხვა მიმართულებას შორის. მაგრამ ეს კიდევ არ იქმარეს. გარემოება ისე მოეწყო, რომ ამ ახირებულ რედაქციას ერთი მოკავშირ კიდევ შეეკედლა, რომელიც, როგორც შემდეგში აღმოჩნდა, „საერთო ნიადაგის“ მძებნელი იყო, მაგრამ რომელსაც არსებითაც არც ერთ წინანდელ მიმართულებასთან საერთო არა ქონდა რა. მე ვამბობ ბ-ნ არ. ჯორჯაძის „ცნ. ფ-ლის“ რედაქციასთან დაკავშირებაზე ანუ „დაქორწინებაზე“. ბ. არ. ჯორჯაძე მოვიდა თუ არა, მოიტანა სხვა მეხი. მან სალიტერატურო ისპარეზე გამოსვლისთვის გულ-ახდილათ აღიარა სხვი-

ლი მრეწველობის და კაპიტალის გაჩენის ერთ-ერთულ აუცილებლობა, არამედ საჭიროებაც და ამასთან უკავშირო კარით გამოვიდა სხვილ მრეწველ და მეურნე-კაპიტალისტთა ერთგულ და თავგამოდებულ მოსახლეობით და დაბრუელათ. ბ. ჯორჯაძე ამ მხრით სწორეთ განსაკუთრებულ, ფენომენალურ მოვლენას წარმოადგენს ჩვენში. ქართველ კაპიტალის წარმომადგენელთ ბ-ნ ჯორჯაძემდის არ ლირსებიათ ასეთი თავგამოდებული და გამბედავი დამცველი. მართალია, ბევრს არ ექამინია ბ. ჯორჯაძის ქადაგება, მაგრამ სამაგიეროთ ბევრმა მისი ქადაგება „ახალ სიტყვათ“ მიიჩნია და ამიტომ მას აღტაცებით შეხვდა. მაგრამ ჩვენ საგანს გადაუცილო. ბ. ჯორჯაძის «ცნ. ფ-ლის» რედაქციაში დაბინავებამ კიდევ უფრო გაამწვავა და გააორკეცა იქ არსებული უხერხულობა, ე. ი. სხვა-და-სხვა მიმართულებათ შეკავშირება. აშკარა იყო მხოლოდ ის, რომ ამ შეუხერებელ რევები ბ. ჯორჯაძის ბურჟუაზული მიმართულება თანდათან ფქს იკიდებდა და ძლიერი ხდებოდა. ამიტომაც რაც დრო მიდიოდა, «ცნ. ფურცლის» მოკავშირეთა მდგომარეობა იმდენათ აუტანელი ხდებოდა. რაგორი „საერთო ნიადაგის“ მძებნელი და სხვა-და-სხვა მოპირდაპირე ჯვაფების და პარტიის შეერთების მსურველიც უნდა ყოფილიყო ბ-ნი ჯორჯაძე, მან მაინც ვეღარ აიტანა არა-ბუნებრივი დაქორწინების ულელი, და პირველ შემთხვევის ღრუსევ გადიძინ იგი თავიდან. პირველათ მან მოიშორა ბ. კ. აბაშიძე, რ-დგანაც თავისი ფეოდალურ-თავად-აზნაურული მიმართულებით ეს უკანასკნელი ყველაზე უფრო მნელი ასატანი უნდა ყოფილიყო მისთვის. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ეს გათიშვის პროცესი ამაზე არ შექრდება, იგი უნდა მივიდეს ბოლომდის. ღლეს «ცნ. ფ-ლის» მოშორდა კ. აბაშიძის ჯგუფი, მავრამ არავისოთვის დაფარული არ უნდა იყოს, რომ ბ. ლალის ნახევრათ რადიკალურ-ნაროვნიკული მიმართულება სავსებით ვერ შეუერთდება არ. ჯორჯაძის წმინდა ბურჟუაზულ მიმართულებას, თუმც უნდა გაპოვტყველ, მათ შორის „საერთო“ ბევრი რამ არის. ამიტომ აღრე იქნება თუ გვიან, ამ პირველ გათიშვას მეორე გათიშვაც უნდა მოყვეს, ისე, როგორც პირველ ქორწინებას მეორე ქორწინება მოყვა... ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ იქაც გამარჯვებული ბ. ჯორჯაძის „ჯგუფი“ დარჩება, როგორც ეს პირველი გათიშვის შესახებ „კვალმა“ ამ ექვეთი თვის წინეთ იწინასწარმეტყველა. აი რას წერდა „ცნ. ფ-ლის“ შესახებ „ჩვენი დღევანდელი პრესის“ აფტორი სწორეთ ამ ექვეთი თვის წინეთ:

„ორს უგავ არსებ ედ მიმართულებას — ქონის ერგა-ტივებს („ივრია“) და დემოკრატიულს („გვადია“) ემა-ტება მესამე მამათულება, მიმართულება ბურჟუაზიული („ცნობის ფურცლი“). მიმართული რაზი როგორც თავის მიმართულებას ქვერ-ქერძით მტკიცეთ დაგანან, სოლ მესამე კი რევებაშია: ას ბ. არ. ჯორჯაძის ბურჟუაზია შროვანისათვის თან დასრულების კაბენი კაბენი ტერიტორიაზე მიმართულებასთან საერთო არა ქონდა რა. მამ დასრულების კაბენი კაბენი ტერიტორიაზე მიმართულებასთან საერთო ნიადაგის მძებნელი იყო, მაგრამ რომელსაც არსებითაც არც ერთ წინანდელ მიმართულებასთან საერთო არა ქონდა რა. მე ვამბობ ბ-ნ არ. ჯორჯაძის „ცნ. ფ-ლის“ რედაქციასთან დაკავშირებაზე ანუ „დაქორწინებაზე“. ბ. არ. ჯორჯაძე მოვიდა თუ არა, მოიტანა სხვა მეხი. მან სალიტერატურო ისპარეზე გამოსვლისთვის გულ-ახდილათ აღიარა სხვი-



სერდ საბუთი გვაქვს ვიზიქორთ, რომ ამ რყევიდან  
ბურუჟაზიული მიმართულება გამოვა გამარჯვებული,  
და მაშინ ბ. არ. ჯორჯაძის მეორე დასიც დაარსე-  
ბული იქნება. ეს დასი შეიქნება ქართული კაპიტალის  
ინტერესების დამცველი და, თანამდებო ბ. ჯორჯაძის  
პროგრამისა, გამოაცხადების: მე ვარ საშმაბდოს ერთა კ-  
ერთ ბურჯა „და სხვ... (ხაზს ჩვენ ვუსვამთ.—იხ.  
„კვალი“ № 25).

ახლა წაიკითხეთ ბ. ჯორჯაძის დეკლარაცია, რო-  
მელისაც «რა მოხდა» აქვს სათაურათ და თქვენ დარწმუნ-  
დებით, თუ როგორი სისწორით უთქვამს „კვალს“ ამ  
ექვსი თვის წინეთ ის, რაც დღეს «ცნ. ფ-ლის» რედაქ-  
ციაში მოხდა. აქ ბ. ჯორჯაძე აცხადებს, რომ მან რამ-  
დენიმე თვის მეცადინების შემდეგ გამოარკვია «საერთო  
მოქმედების ასპარეზი» ჩვენში და საზოგადოების დაანა-  
ხვა, რომ «საერთო მოლვაწეობა შეუძლიათ იმათ, ვის-  
თვისაც ერთნაირათ ძარღვასია საჭსოსნობის ინტერესბით,  
და ეხლა ჩვენ მტკიცეთ შევდექით იმაზე, რომ მათი და-  
კავშირება არის საჭირო და შესაძლებელი, ვინც ერთ-  
ნერ ნიადაგზე დამოკრატიას გამტკიცებსია»... ასეთები გართ  
ჩვენ, ე. ი. «ცნ. ფ-ლის» ჯვარი, რადგანაც „ჩვენი მა-  
ზანა სადაც და ერთგულია!“ («ცნ. ფურც.», № 1662,  
ხაზს ყოველგან ჩვენ ვუსვამთ). ამ თურმე ვინ ბრძანებუ-  
ლა ბ. ჯორჯაძე და მისი ახლათ გამოხევილი „მეორე“  
პარტია! ამ თურმე ვინ ყოფილან ქვეყნის მხსნელები!  
სამწუხაროთ, ბ. ჯორჯაძის ენა ჩვენთვის სრულიად გაუ-  
გებარია! მართლაც, რა უნდა გაიგოს მკითხველმა, თუნდ  
მაგალ. ასეთი ფრაზისაგან: «ნელ-ნელა ირკვევიდა «ნა-  
ციონალისტთა» ბანაკის დაყოფის და დემოკრატიზმის და  
ეროვნების დაქორწინების საჭიროება!» ბ. ჯორჯაძე  
გასაგები ენით რატომ არ ლაპარაკობს? განა მან თითონ არ  
იცის, რომ „ჩვენ დროში ზოგადი აზრებით და ბურუსი-  
ან განზრახებით კაცი ფონს ვერ გავა“? იცის და მერე  
როგორ კარგათ, მაგრამ ასეთი ქცევა დღეს მისთვის, რო-  
გორც სხვილი ქართველი ბურუსაზის ბაირალტარისთვის,  
საჭირო ირადი შეიქნა. ხოლო რადგანაც აცხადებს, რომ  
იგი წინანდელი ჯორჯაძეა, რომ მას არც მარტივ და-  
უწევია და არც მარჯნივ, ჩვენ ვეცდებით აქ მისი წი-  
ნანდელი ნაწერების საშუალებით რამდენიმეთ გავფანტო  
ის ბურუსი, რომელშიაც დღეს «მეორე» დასის მეთაუ-  
რი გახვეულა და მკიახველს გავაგებინებთ, თუ „დემო-  
კრატიზმის“ და „ერთვნების“ სახელით ის რას ქა-  
დაგებს დღეს ჩვენში, ე. ი. რამდენიმეთ მანც გაი-  
გოთ, თუ რას ნიშნავს „დემოკრატიის გამტკიცება ერო-  
ვნულ ნიადაგზე“, ან დემოკრატიზმის და ეროვნების და-  
ქორწინება». ამისთვის საკმარისისა მოვიყვანოთ აქ მისი  
ერთი საპროგრამო წერილიდან სიტყვა-სიტყვით შემდევი  
ადგილი:

«ქართველი კაპიტალისტი, ე. ი. ვაჭარი და  
მერწველი, ქართველ მუშას კი არ უნდა დავუპირ-  
დაპიროთ, არამედ უცხო ტომის ელემენტს, რომელ-  
საც სედ შე უქირჩეს აღაბმიცემობის მონობადია. ქარ-  
თველი მექანიზმის ასთამუშაბია იგი თუ თერმი, მექანიზმი თუ  
კარის დარჯი, ამავე ეროვნული პარტიით უნდა იყოს  
გამსჭვალები. მართალია ამ სასით შესამჩნევათ ერთ გა-  
უმჯობესებება მასი მატერიალური მდგრადი რეაბილი-  
ტაცია რადგანაც და კაპიტალის წინააღმდეგის შემდევი

ნააღმდევებობა კერ აღმოიფხვება, ხოლო ქართველი მშრო-  
მედი ს დასი დაუდებულია (ნეტა კინ აძმეულა? მ.) თავა-  
სი კერძო (საქონო რომელიდას!) ინტერესები საქონო  
ინტერესებშე დაბლა დააყენოს და მით დაამტკიცოს  
თავისი საზოგადო თვითცნობიერების სიმწიფე. ჩვენ-  
თვის ფულიანი გაცემის საქირო, რადგანაც უფლისო  
ჩვენ გერ გაწარმოებით ჩვენი ქვეყნის სიმდიდრების „(ცნ.  
ფურც.) № 1416).

ამ სიტყვებიდან თქვენ ნათლიათ ხედავთ, ვინ უნდა  
იყოს ბ. ჯორჯაძე, ვის მოციქულათ უნდა იყოს იგი მო-  
ვლენილი ჩვენში, ვისი ინტერესების დაცვა უნდა შეად-  
გენდეს მისი ლიტერატურული მოღვაწეობის მიზანს.  
ეროვნება მისთვის მხოლოდ იარაღია ერთი მუქა ვაჭარ-  
მარეწველთა გასამაგრებლათ და ისალორძინებლათ. ამას  
უნდა ენაცვალოს ყველა. „ბევრს ჰელინია—ამბობს ჩვენი  
აეტორი, —რომ ჩვენში აი სწორეთ ეს კითხვაა (ე. ი. ვა-  
ჭარ-მერწველთა შექმნა და წარმატება) ის, რომელმაც  
აუცილებლათ ჩვენი საზოგადოება მოპირდაპირე ჯგუფე-  
ბათ უნდა დაყოს. და ეს დასკვნა უფრო იქიდან გამო-  
ყვეთ, რომ სხვა ქვეყნებში სწორეთ ამ სიადაგზე თავს იჩენს  
კლასითა ბრძოლა. ჩვენი აზრით კი კაპიტალისტურმა ზრდა-  
განვითარებამ საჭაროველოში, თანამედროვე პირობებში  
ნაცოლსადაც მიმართულება უნდა მიიღოს... «საქართვე-  
ლოს ეკონომიკური წარმატება—ქართველ გაჭარ-მერწველთა  
გამარჯვება და მემათა რიცხვის ზრდა ქალაქებში—კლასითა  
ბრძოლის სიადაგთ გა არ უნდა ჩაითვალოს, არამედ აუცი-  
ლებელ პირობათ ჩვენი ხალხის ნაციონალურ აღორძი-  
ნებისა» (იქვე). ავტორი სრულებით არ უარყოფს, რომ  
სხვა ქვეყნებში თანამედროვე ეკონომიკური წარმატება, ე.  
ი. ვაჭრობის და მრეწველობის აღორძინება, კლასთა  
ბრძოლის ნიადაგს შეაღვენს, მაგრამ იგი წინააღმდევი  
იმათა, ვინც ჩვენში ფიქრობს ასე. რომ ჩვენ საზოგადო-  
ებრივ კლასთა შორის განხეთქილება და ინტერესთა წი-  
ნააღმდევობა არსებობს, ეს ბ. ჯორჯაძემაც კარგათ იცის,  
მხოლოდ იგი წინააღმდევი იმსი, რომ ამის შესახებ ჩვენ-  
ში ილაპარაკონ. „რაკა ეკონომიკური ბრძოლის პირი-  
პი—ამბობს ბ. ჯორჯაძე მეორე აღაგას—გამოცხადებულ  
იქმნა ჩვენი ცხოვრების შოვლენათა განმარტებისათვის და  
პრაქტიკული მოქმედებისათვის, ამის შედეგი ის იყო,  
რომ ჩვენ ეროვნულ ინტერესებს დაქვეითება და უკან  
დაწევა დაეტყო... ჩვენ ვლებულობთ ეროვნულ პირიცხის  
საერთო მოქმედების საფუძვლით, ეკონომიკური კი იქ-  
დან განდევნილ უნდა იქმნას“ («ცნ. ფ.» № 1427). იქე-  
დან აშკარაა, თუ რისთვის დაკირდა ბ. ჯორჯაძეს ეროვ-  
ნების და დემოკრატიზმის შეულებება, მათი ერთმანეთზე  
ჯვრის დაწერა. ბ. ჯორჯაძის დემოკრატიზმი ნიშნავს  
მხოლოდ ფერდალურ უფლება-უპირატესობათა და ნა-  
ტურალური მეურნეობის უარყოფას, ხოლო ეროვნულის —  
ეროვნული მეურნეობის და მრეწველობის—აღორძინება  
—ქართველი ბურუსაზის აღორძინებას. ეს ვაჟა-ტონი  
მხოლოდ თამაშობს სიტყვებით და არ სურს უწოდოს  
საგნებს თავისი ნამდვილი სახელები. მაგრამ ის კი უნდა  
ვთქვათ, რომ განსაკუთრებით ეს ემბენევა ბ. ჯორჯაძეს  
მას შემდევ, რაც მან «ახალი» პარტიის შექმნა გამო-  
ცხადა. ასე გაშინჯეთ, ამ უკანასკნელ დროს ბ. ჯორ-  
ჯაძემ თვით ინტელიგენციის წინააღმდევებაც კი გაიღა-  
ქრა, იმ ინტელიგენციის წინააღმდევე, რომელიც, მისივე

სიტყვით, „ადამიანთა განების და თქოთცნობაერების გამომსახულია... რომელმაც შექმნა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება და სასამართველო, და დღეს ჩვენ ამავე ინტელიგენციის მოწყალებით შეკვირართ ევროპიულა ცხოვრების ფრგალში“ («ცნ. ფურუ.», 1438. ხაზს ჩვენ ვუსვამთ). აი როგორი იყო ჩვენი ინტელიგენცია ბ. ჯორჯაძის დახასიათებით ამ რამდენიმე თვის წინეთ! დღეს კი ჩვენი ავტორი იმულებულია საჭვეულოთ, მისდა სამწუხაროთ, ილიაროს, რომ ჩვენი ინტელიგენციის აზრი და მოქმედება მეტათ ვიწოდ ფარგლითია შემოზღვდება. მით აისნება, რომ ყოველთვის, როდესაც კი მოხდება რამე ამ ფარგლის გარეშე, იყი გაოცებული და განრისხებული რჩება. აზრი, გრძნობა, მისწრაფება და დატოლვაზება, მათი შექედულებით, მარტო მწერადოთ და დატერიტორია წრებში იბადება, რომ რაც რეაქციების გრძეშე იძალება, ის პატივსადება და უყრადღების დარსია ას არის!“ (№ 1662). პირველი და მეორე წერილის შეუ რაღაც ექვსი თვეა. საინტერესოა ვიკითხოთ ვინ გამოიცვალა ამ ხნის განმავლობაში: ბ. ჯორჯაძე, თუ ჩვენი ინტელიგენცია ამის გამოცნობა მკითხველისთვის მიგვინდვია. გამოიცვალა რა შეხედულება ინტელიგენციაზე, ბ. ჯორჯაძემ ხალხსაც სხვა ნაირათ დაუწყო ყურება. წინეთ მას ხალხი მარტო უგუნურების ჭურჭლათ მიაჩნდა, ხალხი მისთვის იყო უბრალო ბრძო, გაუგებარი და ბრიყვი. ასლა კი ბ. ჯორჯაძე დარწმუნებულია, რომ ხალხი არ ყოფილა სრულებით გონიერებას მოკლებული, რომ მის მიერ ნაქებ ინტელიგენციასაც ბევრი შექმლია ისწავლოს მისგან. ასე თუ ისე, დღეს ბ. ჯორჯაძე ისე ფრაზას არ იტყვის, რომ ხალხი არ ახსენოს და ერთი-ორი კოპლიმენტი არ უთავაზოს. ალბათ ესეც დროის ნიშანია. თავის პირველ წერილში ბ. ჯორჯაძე სხვათა შორის ამბობდა: „ჩვენ ვიწვევთ მხოლოთ ჩვენის ქვეყნის ერთიმეორებს მოპირდაპი რე დასებს სინიდისიერათ გადაშინჯონ თავისი რწმენანით“ („ცნ. ფურუ.“, 1358). და ა ასლა ჩვენ ვიწვევთ მას სინიდისიერათ გადაშინჯოს რაც უთქვაშ ან უწერია ამ ერთი წლის განმავლობაში და შემდეგ დაუწყოს თავის რწმენასა და აზრებზე ლაპარაკი. თორემ, ვინ იცის რა ცოდვებს არ გამოვუნახავთ ჩვენ მას და მაშინ გვიანდა იქნება.—ამნაირათ «ცნ. ფ-ლის» ჯგუფმა თუმცა დიდი ზარით და ზემით დაიწყო ლაპარაკი თავის ფიზიონომიაზე და სხვა ამისთანებზე, მაგრამ ჯერ კიდევ იმის შექმნა-შემუშავება დაუმთავრებელია, ერთი გათმვა კიდევ საჭიროა, რომ ამ ორგანომ თავისი ნამდვილი ფიზიონომია მიიღოს, ე. ი. გახდეს ნამდვილ ქართულ ბურუუზიულ ორგანოთ.

მოსაუბრე

### საფრანგეთის ლიტერატურა მე-XIX საუკუნეში. ნატურალიზმი \*).

ფრანგის ბუნება სწრაფი, მოძრავი და დაუდგრომელია; დაწყნარება, ერთ წერტილზე დიდხანს შექერება ფრანგის ხასიათს არ ჩვევია. მისი გემოვნება სწრაფა იცვლება, მისი მოთხოვნილება შეუქერებლათ ვითარდება და ფართოვდება, რის გამო ის, რაც ფრანგს გუშინ მო-

\*) ამ წერილში, მოხსენებული მწერლების სურათები იხ. მიმდ. წლის „ჯგუფის“ № 18-ში.

წონდა, დღეს მცს აღარ აკმაყობებებს, მის ღდევის სტატუსის ექვება, ის უკვე იძლის ძებნაშია. მთელი მე-XIX საუკუნე ნის განმავლობაში საურანგეთი ეკრანის ხალხთა სულიერი მისწრაფების საუკეთესო ბარომეტრი იყო, ახალი აზრი უმაღლ აქ იბადებოდა და შემდეგ აქედან მთელ ფრანგის მოედებოდა. საფრანგეთის სიტყვაკაზმული მწერლობაც ერთი საუკეთესო დამახასიათებელია ფრანგის ბუნებას. ორი ლიტერატურული შეკოლა—რომანტიკული და რეალისტიკის რომლებიც სიტყვაკაზმული მწერლობის დროშის ატარებდენ წარსული საუკუნის განმავლობაში, ერთსა და იმავე დროს დაიბადენ და გაიფრინდენ საფრანგეთში. რომანტიზმის ძლიერება ჯერ კიდევ ფრთა-შეუკეთელი იყო, მხცოვინი ჰიუკო ჯერ კიდევ ძეველებურია აღელვებდა მთელ საფრანგეთს, როდესაც პარიზში გადმოჩეუ ნატურალიზმის ნაკადულმა. სხვა-და-სხვა ლიტერატურულმა წრებმა, თეოთ საზოგადოებამც მის წინააღმდეგ გაილაშეს, მაგრამ ეს ახალი ნაკადული იმდენთ ძლიერი იყო, რომ ყოველი დაბრუკოლება ძლია და, თუმცა ვერ მოიპოვა ისეთი ფართო ასპარეზი, როგორც რეალიზმია და რომანტიზმია, მათსავით ვერ მიიჩიდა თავისკენ საზოგადოება, მაგრამ მაიც საკუთარი, დამოუკიდებელი ალგი დაკავა საფრანგეთის ლიტერატურულში. ნატურალიზმის ძლიერი ნაკადული აჩქევა ეპილ ზოლის კალამშა, მაგრამ ერთბაშათ, მხოლოდ ერთი ადამიანის თავში არც ერთი მოძრვება არ დაბადებულა და ნატურალიზმიც ამ ბედს არ იცდებია. ნატურალიზმის რეალიზმის უკიდურესი განვითარება; რეალიზმის უმთავრესი მაზანი არის სინამდვილის ხატვა; დაუმორჩილეთ ის მხოლოდ მშრალ გონებას, გამოდევნეთ იქიდან გული კველა თავისი გრძნობებით გადააქციეთ მწერალი ავტორთან, რომელმაც სინამდვილის უნდა აღნიშნოს და თქვენ მიღებთ ნატურალიზმს; ამიტომ ნატურალიზმის ნიშნებს ჩვენ ვხედავთ საფრანგეთის ისეთ მწერლების ნაწერებში, რომლებიც რეალურ შეკოლას ეკუთვნიან. მაგალითათ, დიუმ-შვილს და ალ. დოდეს არავინ არმიაკუთვენებს ნატურალისტურ შკოლას, პირველი იმდენათვე რეალისტია, რამდენათვე რომანტიკოსი, მაგრამ ნატურალიზმის ნიშნები ირიცეს ნაწარმოებშია გაფანტული.

ლიუმა-შვილი დაიბადა 1824 წ. († 1895 წ.). წარსული საუკუნის პირველ ნახევარში მამა მისიც გამოჩნდილ მწერლათ ითვლებოდა. მას დაწერილი აქვს ურიცხვი დრამები და რომანები. დრამებს თავის დროზე საპატიო სახელი ქონდათ მოხვევილი, მაგრამ დღეს როგორც მისი დრამები, ისე რომანები დავიწყებულია და ლიუმა-შვილმას აღმაზე გაცილებით მეტი ნიჭი გამოიჩინა მწერლობაში. პატიოსანი და გრძნობით სავსე გული და მაღალი ზნებია გვერდში უდგენ მის მხატვრობით ნიჭს; ის საუკეთესო მქადაგებელია სამართლიანობისა, უბედურთა და დაჩვრულთადმი თანაგრძნობისა და სუვარულისა და ამატომ ლიტერატურით ითვლება საფრანგეთის ერთ სიმპატიურ მწერლათ. ლიუმა-შვილმა წერა იღრება დაიწყო. თვრამეტა წლისა არც ჴკი იყო, როდესაც ლექსება წერდა, ლექსებიდან ის გადვიღა მოთხოვნების ერთ და რომანებზე, მაგრამ სახელი და საზოგადოების სიყვარული მან თავისი დრამებით მოიხვევა, რომელთაგან სა-



უკეთესოთ უნდა ჩაითვალოს. მარგარიტა გოტიე. მარგარიტა გოტიე დიუმის ჯერ რომანის სახით ქონდა დაწერილი, შემდეგ გადაკეთა დრამათ, მაგრამ ვინც კი წაიკითხა მისი ხელონაწერი, ყველამ გაკიცხა ეს დრამა. დიუმამ წაუკითხა თავისი დრამა სხვა და-სხვა კრიტიკოსებს, რომლებმაც ის ერთხმათ დაგმეს, მაგრამ ავტორი არაფერმა არ შეაშანა; მან მიმართა სხვა-და-სხვა თვატრებს დირქეციას და ბევრი უარის შემდეგ ეღინდა მის დრმას სცენაზე დადგმა. მთელი თვატრი ხალხით გატენილი იყო. ახალმა დრამამ მეტათ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე, განუჩეველათ წოდებისა, და იმ დღეს აქეთ ამ დრამას საპატიო ალაგი უჭირავს არა თუ საფრანგეთის, მთელი ევროპის რეპერტუარში. ჰუმანურმა დიუმამ ამ დრამაში პირველათ აამაღლა ხმა დაღუპულ ქილთა დასაცავათ; ის გამოისარჩელა ამგვარ ქალებს, დაანახვა საზოგადოებას, რომ ისინიც აღმიანები არიან, ხშირათ უფრო ზნე-მაღალნი და სულფრძელნი, ვიდრე ეკრეთ წოდებული პატიოსანი დედები. ამ დრამას მოყვა ბევრი. სხვა დრამები, რომლებშიაც ავტორი მუდა სხვა-და-სხვა საჭირო-ბოროტო კითხვებს ეხებოდა. დიუმა მოკლებული იყო ფანტაზიის ძლიერ აღმატენას, მისი ნიჭი და მთელი მისი არსება ცხოვრებისაკენ იყვენ მიქცეულნი; მას მხოლოდ პრაქტიკული კითხვები აინტერესებდა და როგორც კალმით ისე საზოგადო სარბილო მოღვაწეობით ამ კითხვების განხორციელებას ცდილობდა.

ნატურალიზმის ნიშნები, რომლებსაც აქ-იქ შეხვდება მკითხველი დიუმა-შვილის ნაწერებში, უფრო ძლიერათ ემჩნევა ალფ. დოდეს (1840—1897). დიუმა-შვილივით მანაც ძალიან აღრე დაიწყო წერა და ლიტერატურის ასპარეზზე პირველათ ლექსებით გამოიყდა. ოცი წლისა არც კი იყო, როდესაც მან გამოცა თავისი ლექსების ორი ტოში, რითაც მთელი მკითხველი საზოგადოების უურადება დაიმსახურა. ლექსების შემდეგ მან დაიწყო მოთხოვნებისა და რომანების წერა და აქ გამოა-აშეარავა თავისი ნიჭის ერთი ძლიერი თვისება—საღი, დამცინავი იუმორი. ალ. დოდეს პიესებიცა აქც დაწერილი, ის უმთავრესათ თავისსავე რომანებს აკეთებდა პიესებათ, მაგრამ როგორც პოეტი და რომანისტი, ის გაცილებით მაღლა დგას, ყიდრე დრამატურგი. საზოგადო ცხოვრებაშიაკ ალ. დოდე საუკეთესო მამულიშვილი იყო; როდესაც გერმანელები პარიჟს გარს შემოერტყენ, დოდემ დაუტევა კალამი, უბრალო ჯარისკაცათ გასწია მამულის დასაცავათ და რამდენიმე ბრძოლაში მიიღო მხურვალე მონაწილეობა. სინამდვილის მიუდგომლათ ხატვა, ცხოვრების ყოველგვარი სიმახინჯის გადმოშლა დოდეს ნიჭის ნიშნობლივ თვისებას შეადგენს და ამით მას ბევრი რამა აქც საერთო ნატურალისტურ შეკოლისთან.

აღნიშნული მწერლების თანამედროვენი იყვენ გუსტავ ფლობერი (1821—1880) და ძმები ედმონ (1822—1896) და ეკულ (1830—1870) გონკურები. ნატურალისტურ შეკოლასთან ამ რომანისტებს საერთო არაფერი აქვთ, მაგრამ რადგანაც პირველი მათგანი თავისი ძლიერი ნიჭით საფრანგეთის ერთი საუკეთესო რომანისტია, მეორები კი რამოდენათმე ხოლო მასწავლებლები იყვენ ენის მხრით, ამიტომ სანამ ნატურალიზმის ცენტრს — ზოლს შევეხებოდეთ, ამ რომანისტებზედაც შევჩერდებით მცირე ხანს. ფლობერი საუკეთესო მაგალითია რო-

მანტიზმისა, რომელიც თავის თავს უარყოფსო, ამბობს ე. ფაგე საფრანგეთის ლიტერატურის ისტორიაში. და მართლაც ორივე ლიტერატურული მიმართულება თავისი დროისა ფლობერში ერთნაირათ, ერთნაირის ძლიერებით იყო შეერთებული: ერთსა და იმავე დროს ფლობერი გამოჩენილი რომანტიკოსიც არის და გამოჩენილი რეალისტიც. მისი რეალური ნიჭი იმდენათ ძლიერია; რომ საფრანგეთის რეალიზმის მამამთავრათ ბევრი ფლობერსა თვლის და არა ბალზაკს. ფლობერი არ იყო იმდენათ ნაყოფიერი როგორც საფრანგეთის სხვა რომანისტები, სამაგიეროთ საფრანგეთში ცოტაა ისეთი მწერალი, რომელსაც ფლობერსავით შეემუშვების თავისი ნაწარმოების როგორც შინაგანი მხარე, ისე გარეგანი ფორმა. თუ ბალზაკი უხატავდა მკითხველს ფულის ძლიერებას, ფლობერი არკვევდა თავის ნაწერებში კაპიტალიზმის სახეს, — ის უტყუარი და საუკეთესო მხატვარი იყო იმ ცხოვრების, რომელიც კაპიტალიზმი თან მოიტანა. როდესაც პირველათ გამოვიდა ფლობერის Madame Bovary, მთელი მკითხველი საზოგადოება აღაბარიკდა. ამ ნაწარმოებში ფლობერმა გადაუშალა თვალწინ საუცხოვოთ დახატული სურათი საფრანგეთის წვრილი ბურჟუაზის ცხოვრებისა და მისი სურათი იმდენათ გავდა ნამდვილ ცხოვრებას, მისი ტიპები იმდენათ ცოცხალი იყვენ, რომ საზოგადოებაში ძალიან ბევრმა დაინახა თავისი საკუთარი თავი ამ თხზულებაში. Education Sentimentale-ში მან დახატა 48 წლების ბურჟუაზია, Tentation de Saint Antoine-ში მან გამოიჩინა ძლიერი ფსიხოლოგის ნიჭი. ფლობერს ორი დიდი ღირსება აქც: ერთი—ტაბების საუცხოვოთ ხატვა, მეორე—ენის შემუშავება, მას კიდეც რომ არ დაეხატა თავის თხზულებებში მეორე იმპერიის ბურჟუაზის საუცხოვო სურათი, არც ერთი ტიპი რომ არ მიეცა მკითხველი საზოგადოებისთვის, საფრანგეთის ლიტერატურაში მას მაინც საპატიო ალაგი ეჭირებოდა ვ. პიუკსისათან ერთათ, როგორც სახელოვნო ენის შემქნელს. ამ ძლიერი ნიჭის მწერალთან გონკურებს მხოლოდ ისა აქვთ საერთო, რომ სახელოვნო ენის შექმნაში მათაც წილი უდევთ. გონკურების ტესახებ საფრანგეთის კრიტიკოსებში ერთ გადაჭრილ აზრს ვერ შეხვდებით: ერთი მაღლა აყენებს მათ, მეორე კი ცოველგვარ ღირსებას უკარგავს. მათ დაწერილი აქვთ ერთათ რამდენიმე რომანი, რომლებიც საფრანგეთის ცხოვრების შესახებ ძალიან ცოტას ეუბნებიან მკითხველს. მართალია, თავისი მიმართულებით ისინი რეალურ შეკოლას ეკუთვნოდენ, მაგრამ ისინი ეძებდენ არა ტიპიურ, არამედ იშვიათ და საეფექტო სიუჟეტებს, რეალიზმის მნიშვნელობა კი მხოლოდ ტიპიური და ჩვეულებრივი სურათების ხატვაში მდგომარეობს. ამგვარი სიუჟეტების წყალობით გონკურების თავის ღრუბზე ბევრი მკითხველი ყვავდათ, მაგრამ მათი სახელი ხანმოკლე იყო. ის ახალი ლიტერატურული ნიშნები, რომლებმაც თავი იჩინეს აღნიშნული მწერლების ნაწერებში, თანადათან განვითარდენ, გაიზარდენ და გაღიქცენ ორ ლიტერატურულ მიმართულებათ: ერთია ნატურალიზმი, მეორე—ფსიხოლოგიზმი; პირველი ეძებს ცხოვრებაში მხოლოდ ფაქტებს, რანაირიც უნდა იყონ ისინი, მეორე კი აღამიანის სულის ყოველგვარ მოძრაობას.

### ქინაური მიმოსილვა.

უკანასკნელი კვირა კრებების კვირა იყო. სულ კრებები და კრებები, კრება თფილისში, კრება ბაქოში, მოგველის კრება გურიაში და რა ვიცი კიდევ სად. ამიტომ ჩვენი დღევანდელი მიმოხილვა მთლათ კრებებს უნდა ვეძლვნათ.

დავიწყოთ, როგორც უფროსი და წარჩინებული წოდებისა, თავად-აზნაურობის კრებიდან. უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ თავად-აზნაურობის კრება ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა. შეიძლება, თქვენ არავითარ უურადლებას არ აქცევთ ამ გარემოებას, მარა თვით კრების ნაკამათვე-ნალაპარა კვევი გვარწმუნებს, რომ ეს შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. უმთავრესი სავანი კრებისა, რასაკვირველია, 20 ათასის მოხმარა იყო. ბევრი ილაპარაკეს ამ საგანზე, კრებები დილა-სალამის იმართებოდა, კომისიის მოხსენებაც წარედგინათ დასაბუთებული, ბევრი სხვა მოსაზრებებიც, მაგრამ ბოლოს მაინც... ვერაფერი დასკვნეს და ისევ მომავალი კრებისათვის გადადევს. რა მოსაზრებით და რის იმედით კი არ ვიცით. სამართლიანათ შენიშნა ერთმა ორატორმა (ბ. რცხილაძე): დღეს ეძლევა თავად-აზნაურობას შემთხვევა, გამოთქვას თავის გულის ნადები და გულის წადილი და ჩვენც სწორეთ ამას მოველოდით კრებისგან, მაგრამ, როგორც წინეთაც გვითქვამს, სურვილები ბევრი ქონიათ და გამორკვეული კი არც ერთი, რა უფრო საჭიროა და რა მოთხოვნილების დაკმაყოფილება უფრო საქართვა. აღბათ, ეს იციდა თავად-აზნაურთა კომისიამ, როგორ თავის პროექტს აღენდა, რომელშიაც თითქმის ერთნაირი ადგილი დაუთმო ყოველგვარ განათლებას. ზოგიერთი წევრები იქამდინაც კი მოვიდენ, რომ კრებას ურჩევდნ—ფიქრი და მოსაზრება რა ჩვენი საკადრისია, ამისთვის კომისია გვყვდა არჩეული და იმან კიდეც იფიქრა და კიდეც დასკვნა, ახლა ჩვენ მხოლოდ ზოგი რამ უნდა შევასწოროთ მათ პროექტში, ახალი წინადადებების გარჩევა კი უადგილოა (მიხ. მაჩაბელუნებ. „ცნ. ფურუ.“ № 1667). აი, ნამდვილი წარმოდგენა კრებების დანიშნულებაზე! ეტყობა, ამ ორატორს კარგათ შეუგნია თანამედროვე პრინციპი შრომის განაწილებისა: ერთა უნდა იფიქროს და მეორემ ეს ნაფიქრები სისრულეში ნოიყვანოს.

საზოგადოთ უნდა გამოვტყდეთ, მეტათ უსიცოცხლო შთაბეჭდილებას ახდენდა ჩვენზე ეს კრება: თითქო ზრდილობისთვის, ხათრისთვის ლაპარაკობდენ; არც ერთს სიმკვირცხლე და გატაცება არ ეტყობოდა, გარდა ზევით დასახელებული რცხილაძისა, რომელიც, არ ვიცით, სამეურნეო განათლების მომხრე იყო თუ საზოგადოსი, თუმცა არა ერთხელ ილაპარაკა.

თვით ის გარემოება, რომ მთელი წოდება (უმრავლესობა მაინც), რამდენათაც ჩვენ გავიკეთ მისი სურვილი) უფრო საზოგადო განათლებას ეტანებოდა და უარყოფდა სამეურნეო სწავლის მნიშვნელობას, ჩვენ იმას გვეუბნება, რომ თვით თავად-აზნაურობას დაკარგვია სოფლის იმედი, ქალაქისკენ მოილტვის, მიუხედავათ ჩვენი ზოგიერთი «ეკონომისტებისა». ერთი გულახდილი ორატორი ამბობდა: «ჩვენ გვექირვება კარგი ინჟენერი, ექიმი, იურისტი, ტექნიკი, გარგი ხანოვნება და არა სოფლის მეურნეო», ე. ი. ჩვენ უნდა გაცხდეთ ან ბურუუზის

მსახური ან სახელმწიფოსი. დამოუკიდებლაც ცალკეული იმედი კი დაკარგვიათ, და აი ეს გვქანდა სახეში, როგორ გამბობდით, რომ საბჭოში ბრწყინვალე წოდების შეკრება შემთხვევითი არ იყო-თქო. ჩვენი მიწათმფლობელი წოდება კაპიტალის წინ იხრის ქედს, მას მსახურათ ემზადება, და რა გასაკვირვალია, თუ თფილისის ბურუუზია ამის სათათბიროთ დარბაზი დაუთმო. კაპიტალი მეტათ სტუმარმოვარება: ვინც მის სამსახურის ისურვებს, ყველას იმსახურებს და მოიხმარს.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთების ხმა, რომელიც ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობასთან ერთობის მომხრე იყო, გაისმოდა ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა და სერიოზულათ არც მიუქცევია კრებას ყურადღება ამ საკითხისთვის.

\* \*

იმ დროს, როგორ თფილისის საბჭოს დარბაზში თავადები თათბირობდენ, ამ დარბაზის კრებულის გამგეები სასამართლო პალატის დარბაზში იყვენ მიწვეული და იქ მათ ნამოქმედარზე თათბირობდენ, მაგრამ არა მათი ამჩხევლები, არამედ სახელმწიფო მოსამართლენი. რამდენათაც ადგილი ნებას მოგვცემს ამ საქმეს ცალკე გვეაცნობთ ჩვენ მკითხველებს, აქ-კი მხოლოდ მის მიშვნელობაზე შევჩერდებით. როგორც სასამართლომ გამოარკვია, გამგეობის მოქმედებაში არავითარ ბოროტ-მოქმედებას არ ქონია ადგილი; ყველა მათი დანაშაული ჩევულებრივი კანცელარიული და საჯახო უწეს-რიგობისგან გამოწვეული ყოფილა, რომელთა დანაშაულათ ჩათვლაც-კი არ შეიძლებოდა, და გამართლა კიდეც სასამართლომ ყველა ბრალდებული. ამ მხრით სრული გამარჯვება დარჩა თვითმართველობას, მაგრამ ამავე გარემოებამ უნდა ჩატიქტოს და ჩაგონის ჩვენი ქალაქების მეთაურნი; უნდა ახსოვდეთ, რომ ამორჩევითი თანამდებობა, საცა დიდი ადგილი აქვს ნდობას, უფრო პასუხის საგებია, უფრო მძიმე და თან საფრთხილო, როგორც პირადათ მათთვის, ისე საზოგადოებისთვის; სწორეთ ამატობა სასურველი დღეს ფხინი მოქმედება. არჩეულები უნდა ეცალონ, რომ საზოგადოება და ხალხი თვითმართველი ინტერესების დამცველებს ხედავდეს მათში და არა ისეთ პირებს და დაწესებულებებს, რომელთაც ხალხის ინტერესისკენ ჯოხით უნდა მიერეკებოდენ. მაშინ განმტკიცდება თვითმართველობის არსებობის ნიადაგი, შეიყვარებს, შეისისხლხორცებს საზოგადოება და დაწესებულებაც უხრუნველ ყოფილი იქნება; ისე ადგილი აღარ იქნება მისი ნდობის დაკარგვა და ხალხის სიყვარული კი დიდი ძალა. ამიტომ, ვიმეორებთ, ვინც შეგნებულათ ემსახურება თვითმართველობას, ყოველი ლონე და ძალა ხალხისკენ, მისდა სამსახურათ, უნდა მიმართოს და ამით თანაგრძნობის დამსახურება თავის თვითთაც საკმაო საქმის გაკეთება იქნება...

\* \*

კრება აქვთ ბაქაზელ ნავთის მწარმოებლებსაც, რომელთა პროგრამაში, მიუხედავათ დღევანდელი დაუსრულებელი კრიზისისა, პარველ ადგილზე, შემთხვევით, მუშათა ბირების აშენების საკითხი მოყოლია. ჩვენც დღეს მხოლოდ ამ საგანს შევხებით. ეს რამდენიმე წელიწადია ამითვებისტების ტექნიკი, გარგი ჩანაცხადება და არა სოფლის მეურნეო, ე. ი. ჩვენ უნდა გაცხდეთ ან ბურუუზის



უკეთ, და მთელი ტომიც კი გამოცეს, სათაურით: ტყუ-  
ლი კომისიი მიერაცხოვის უკეთესობა და სხვ. პირველათ უურადღება ამ საქმეს მაშინ მიაჰყიეს, როცა  
ნაეთის კოროლებს და პრინცებს აზრშიაც არ მოდიო-  
დათ, რომ ოდესმე კრიზისი ეწვეოდათ. საჭიროა, გავიხსე-  
ნოთ იმ დროის პირობები და ის მოსაზრებები, რომელ-  
თაც უურადღება მიაქცევიეს მუშათა მდგომარეობაზე.  
ბაქოს რაიონში, როგორც ვიცით, 35 ათასაშედე კაცი  
მუშაობს ნავთზე. დიდი ნაწილი მათი ადგილობრივი თა-  
თრები ან სპარსეთის ქვეშევრდომებია, რომელთაც მიწას-  
თან და სოფელთან კავშირი არა აქვთ მთლათ გაწყვეტი-  
ლი, და ჭირნახულის მოსაწევათ ბრუნდებიან ოჯახში. ეს  
ხდება ზაფხულობით, როცა ნივთის წარმოებაც უფრო  
ინტენსიურია, და ამ დროს მუშა ხელის ნაკლებობა დი-  
დათ საზიანოა მწარმეებელისთვის. აი ამ გარემოებამ მი-  
იქცია ბაქელორი უურადღება და რაკი მიზეზი გამოი-  
ჩივის, საჭირო ზომების მიღების დაგვიანებაც არ უნ-  
დოდათ. იყო კიდევ მეორე მოსაზრებაც: რაგინდ მცირე  
მოთხოვნილების იყვენ მუშები, სახლი და პინა მაინც სა-  
ჭიროა და ნავთის მწარმოებლებიც იძულებული იყვენ  
აეგოთ შენობები თავის ნავთიან მიწაზე, მაგრამ ესეც  
ხომ არა ნაკლებ საზარალო იყო მათთვის, რადგან სა-  
ცხოვრებელი შენობები და მათა ახლო მიდამო საექსპლუ-  
ატაციოთ არ ვარგა (კანონით აკრძალულია). აი ამ ორი  
გარემოებისთვის უნდა მოევლოთ თავი და მოუარეს კი-  
დეც. მათ აღძრეს შეუძღვომლობა მიწათმოქმედების და  
სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე, რომელ-  
საც თხოვდენ, ეხლანდელ სწარმოვა მიწების გა-  
რეთ დაეთმო ადგილი მუშებისთვის საჭირო ბინების-  
ასაგებათ; თან ანგარიშობდენ და საზრობენ იმაზედაც,  
თუ რაგორ მოეწყოთ მისვლა-მოსკლა ამ დაშორებულ  
ბინებიდან თვით სამრეწველო ადგილებთან და ელექტრო-  
ნის რკინის გზის გაყვანასაც კი ფიქრობდენ. ამითი ისი-  
ნი, როგორც ზევით ნათევამიც მიგახვდენდათ, აღწევენ  
ორ მიზანს: უთავისუულდებათ ბევრი ნავთიანი მიწა და  
მით ემატებათ შემოსავალი, მეორეც, და უმთავრესი მა-  
თი მოსაზრება და მიზანი, როგორც გულახდილათ ამბობს  
მათი „შრომები“, იყო ის, რომ მოეზიდათ მუშათა სა-  
კმაო რიცხვი საცხოვრებელით თავის რაიონში ცოლ-შვი-  
ლით და მით შეექნათ მუდმივი კონტინენტი მუშებისა;  
რომ აეცილებიათ საზაფხულო კრიზისი და აზასაც მიახწე-  
ვენ, თუ მათი პლანი განხორციელდა. აი ამ ნიადაგზე  
აღმოცენდა მათი გულშემატკიცრობა მუშათადმი; დღეს  
სამინისტრომაც შეიწყნარა მათი თხოვნა და 9 დეკემბრის  
სხდომაზე მხოლოთ ხსენებულ გზებზე ქონდათ ლაპარაკი  
და მის გამოსაკვლევათ გადადეს 12 ათასი მანათი. მარ-  
თალია, დღეს არავის მათგანს არ ცხელა მუშების მოზიდ-  
ვაზე საზრუნვათ, პირიქით ვინც ყავთ, იმათაც დიდი  
სიამოვნებით მოიცილებენ, მაგრამ ეს მდგომარეობა დრო-  
ებითია და ისინიც ამ იმედით ცხოვრებენ და განაგრძო-  
ბენ ქველი პროგრამის გასახულიერებლათ შრომა-მოლ-  
ვაწერბას.

\* \* \*

საინტერესო იქნებოდა, გვეგონა, ღრამატიული სა-  
ზოგადოების კრებაც, რომელიც წარსული კვირისთვის  
იყო დანიშნული, მაგრამ იღარ შედგა, და არ შედგა  
სწორეთ იმისთვის, რომ ეს საზოგადოება გავიდა.

ლი ელემენტებისაგან შედგება, ისევ იმ ცნობილი ინტე-  
ლიგენტებისაგან, რომელთაც არჯელ მაინც უნდა დაუ-  
რეკო, საზოგადი საქმეზე თუ იწვევე. უკანასკნელი, ორი  
საბოთი კი უცადა ღრამატიულმა გამგეობამ თავის საზო-  
გადოებას, მაგრამ ამათ. ოცი კაცი ძლივს მოვიდა. ჩვე-  
ნი აზრით, აქაც დემოკრატიზაცია საჭირო, თორემ კი-  
დევ არა ერთხელ დაჭირდებათ გამოცხადება: „კანონიე-  
რი რიცხვის დაუსწრებლობის გამო პირველი კრება არ  
შედგა და დაინიშნა შეორეო“. მით უმეტეს საჭიროა და  
სასურველი ეს, რომ აქ უფრო ადვილია ამ ნიადაგზე  
მოქმედება. ინდეთ თუნდ სახალხო წარმოდგენები. ამის  
მეთაურობა ადვილათ შეუძლია ღრამატიულ საზოგადო-  
ებას და ეს მის მიზანშიაც შედის. თუ ორი ჯურის სა-  
ზოგადოებას კი ემსახურება დღეს, და ავათ თუ კარგათ  
უმასპინძლდება, რაღა დააშავა ჩვენი ერის მესამე ნაწილ-  
მა? სხვა არა იყოს რა, თუნდ კვირაობით დილას შეუ-  
ძლიათ ხელმისაწვდომი ფასებით ხუთშაბათს დადგმული  
პიესა გამეორონ საკუთრივ ხალხისთვის და მით გონი-  
ერ საზრდოსთან რიგიანი და ხელოვნური თამაშიც აჩვე-  
ნონ ხალხს. ჩვენ გვვონია, ეს არც არტისტებისთვის იქნე-  
ბა სამძიმო, რადგან ახალი დასწავლა არ დაჭირდებათ.  
უკეთეს თეატრებშიაც გვინახავს ერთი და იგივე არტის-  
ტები დილა-სალამის მოთამაშენი. კარგი იქნება, ამ კით-  
ხვასაც მიაქცევდეს უურადღებას დღევანდელი კრება და  
თვით საზოგადოება მიეგებოდეს ხალხის მოთხოვნილე-  
ბას, სანამ ის მოვიდოდეს და მოითხოვდეს ამას.

\* \*

დასასრულ, ორაოდე სიტყვა ისევ ბათომელებზე.  
იქაურ საბჭოს გადაუწყვეტია, თხოვონ გუბერნატორს,  
ნება მიცე!... ქალაქის თავიარ აარჩიონ, ე. ი. იყონ წე-  
ლიწალზე მეტი უთავოთ. რა გვეთქმის იმისთანა ხალხზე,  
რომელსაც უთაურობა ურჩევნია. დაგვრჩენია მხოლოთ  
ბოდიშა მოვიხადოთ იმ «პარტიასთან», რომელსაც დღე-  
ისწორის მიმოხალვაში უმართლო ბრალი დავდევით, რომ  
ის ეწინააღმდეგება ქალაქის თავის აჩევას-თქო.

იმავე ბათომში ადგილობრივი ქართული შეკოლის  
კომიტეტისაც ქანია კრება და გადაუწყვეტია, როგორც  
ჩვენი კორესპონდენტი გეწერს, არ ვაინდა მესამე მასწავ-  
ლებელი, 225 ბაშა ლარიც კარგათ მოუვლისო, და ამ მო-  
საზრებით უარყოფით ის დამარტებაც, რომელიც მათ-  
თვის მოუსურვებია ადგილობრივ ქართულ ღრამატიულ  
დასს. ვაშა, ვაშა, ბათომელებო! რა უჭირს იმ ყრს, რო-  
მელსაც თქვენ ყავხართ ევროპის ფანჯარასთან და თქვენ-  
გან უნდა გადმოეცეს სინათლე! რათ ვაინდა ან თავი და  
ან მასწავლებელი, თქვენ გვეყოფით ყველაფრათ!..

### სსვადასსევა ამბები.

საიუბილეო გამოფენის უმთავრეს საორგანიზაციო  
კომიტეტის მიერ გამოცხადებული სიდან ჩანს, რომ ექ-  
სპარენტებს მიუღიათ ჯილდო—ნ2 საპატიო დიპლომი,  
66 ოქროს დიდი მედალი, 94 ოქროს პატარა მედალი,  
მას პირისახეზე სიწითლემ გადაუარა. მისი მტრედის ფერი თვალები, ერთი წუთის წინეა ბეღნიერნი, ახლა გაფართოვდენ, გული ღრმათ ისუნთქავდა და ტუჩები ცმაცურებდენ.

ჩვენ კი, მის გარშემო შემოხვეული, შურს ვიძიებ-



დით მაზე, რადგან იმან გაგვაცრუა ჩვენ. იგი ჩვენ გვეკუთვნდა, ყოველივე ჩვენი კარგი მაზე იხარჯებოდა. თუმცა ჩვენი მსხვერპლი იყო მსხვერპლი გლახებისა, მაგრამ ჩვენ ოცდაქვეში ვიყავით და ის კი—ერთი და ამისათვის ჩვენ ახლა არ შევვეძლო გვეპოვა იმისთანა საშუალება, რომ მისთვის საკადრისი შწუხარება მიგვყენებია... იგი სდუმდა, გვიყურებდა გაშტერებული და ცახცახებდა.

ჩვენ კი დავცინოდით, ვყვიროდით, ვბრაოდით... ჩვენთან საიდანდაც კიდევ მოირბინეს სხვა კაცებმაც... ერთმა ჩვენგანმა სახელოზე ხელი წაკრა ტასოს...

უცებ მასი თვალები გაელვარდა; მან გაიწორა თმა ხელით და ხმაშალლა, მარა დამშვადებ თ მოგვახსლა ჩვენ პარში:

— ა თქვე უბედურო ტუსაჯებო!..

და პირდაპირ წამოვიდა ჩვენკენ, თითქოს ჩვენ არც კი ვმდგარიყით მის წინ. მართლაც, ყელა ჩვენგანი ჩამოეცალა მას გზიდან.

გაგვცილდა თუ არა ჩვენ, ზურგ შემოქცეულმა ხმამდლა და გამოუთქმელის ზიზლით კიდევ მოგვაძინა:

— ა თქვე გარყვნილებო... გელის წიწილებო... და წავიდა.

ჩვენ კი დავრჩით შეა ეზოში, ტალახსა, წვიმისა და თოვლ ქვეშ...

პატარა ხანს შემდევ ჩვენც ჩავეშუით ისევ ნოტიო ქის ორმოში. და როგორც წინეთ მზეს არასოდეს არ ჩამოუშუებია ჩვენი ორმოს ფანჯარაში, ისე აღარც ტასო მოსულა ჩვენთან!..

ჭ. ჩიჩეა.

### ს ი ტ ჟ ვ ა

(ნადსონილან)

გუდვნი ზ კ. ას. ჩ—ეს.

ოხ, რომ მუზისგან ცეცხლმფრქვევი სიტყვა ჩემ ობოლ ჩანგსაც ნიჭათ რეებოდა, მაშინ ჩემგანაც ბოროტებასა რა მწვავე დალი დააჩნდებოდა! დიდს და პატარას შევაბროლებდი ბნელს და სინათლის გავშლიდი ალამს და მართლისალმი მისწრაფებასა ვულილინებდი ტებილათ ქვეყანას. ოხ, მაშინ როგორ ვიხარხარებდი, ცრემლიც დამწველი დამელვრებოდა, როს იდეალი, აწ შემწიკვლული, ხელ-ახლა ქვეყნათ აძალლებოდა. შეშინდებოდა ქვეყნიერება, ვით დამნაშავე, ცახცახს იწყებდა, გაიღვიძებდა და წარსულ საქმეთ მსჯავრსა კანკალით ყურს დაუგდებდა. და აი მაშინ, ამ სიჩუმეში ჩემი ხმა მეხათ გადიქცეოდა, ხან აღგზნებული განრისხდებოდა, ხან წმინდა ცრემლათ დაიღვრებოდა!

მაგრამ სად არის ეს მკვეთრი სიტყვა, სუსაზია ჩემი ხმა განწირული, არ შემწევს ძალა შეუდრეველი,

თუმც საბრძოლველათ მიიღოს სული: ბაგე მხოლოდილა წარმოთქამს წყვლის და მას ბანს ძლევს ქვითინით გული, და მგირაც აზრი, რომ მე მონა ვარ, მონა, და არა გმირ-მოციქული! ვეტრე.

— და არა გმირ-მოციქული! ვეტრე. და ცეც მე არა გმირ-მოციქული! ვეტრე. და ცეც მე არა გმირ-მოციქული! ვეტრე. და ცეც მე არა გმირ-მოციქული! ვეტრე.

### III.

ნიცხეს ზნებაბრივა ფილისათვის.

ნიცხე იმ აზრისა, რომ მეცნიერთა შორის არსებობს «წმინდა კაშირი» ზნებაბრივ კითხვების შესახებ: ისინი სახვენ აღმიანის ზნებას აბსოლუტურ რამეთ, რომელიც უძევს საფუძვლათ კაცობრიობის ცივილიზაციას; ისინი თვლიან გამოჩენილ ძველ-მორალისტთა აზრებს მიუწოდებელ კეშმარიტებათ; რის გამო იდრეკენ მათს წინაშე მუხლს და შეამკობენ ხოლო მათ მთელი თავისი მცენრ-მეტყველობით. ნიცხე შეძრწუნებულია იმ ფაქტით, რომ ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზდა, კველანი ქადაგებენ ზნებაბრივ, სახოგადოებრივ მორალზე, ხოლო არავს მათგან არ მიუცია თავის თავისთვის შრომა დაკვირვებოდა გულმოდგინეთ თეოთ ამ სიტყვებს; კველანი უთითებენ ზნებაბრივ მოვალეობაზე, რომელიც უნდა იყოს, მათი აზრით, აღმიანის ყავველი მოქმედების ხელმძღვანელი, ხოლო არავს ძლევს კითხვას თავის თავს, რაზედ არის დაცუძნებული ზნებაბრივი მოვალეობის საეთი აუცილებელი მნიშვნელობა, რატომ უნდა ცემორჩილებოდეთ ჩვენ მას, რა უფლებით იჩემებს იგი ჩვენზე ბატონობას. „საკირველია — ამბობს ნიცხე — რომ დღემდინ არ იყო დასახული თვით მორალი, როგორც პრობლემა: არავინ ფიქრობდა იმაზე, რომ მორალი წარმოადგენს პრობლემატიურ რასმე“<sup>1)</sup>.

ნიცხე სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ყველა იმას, რასაც კი რამე ფასი აქვეს კაცობრიობის თვალში. მისი აზრით, კაცობრიობას არ ქონდა არავითარი საფუძველი, როდესაც იგი იდამიანთა ერთ მოქმედებას ნათლაცდა ზნებაბრივის სახელით და მეორეს კი უწოდებდა უზნებაბრივ. ზნების უმთავრესი ატრიბუტები, როგორიც არიან „კეთილი“, „სიყვარული მოყვასისადმი“, „გულ-შემატკიცრობა“, თავისთავათ დიდს არაფერ განძს არ წარმოადგენ. „ზნებაბრივისათვის“ — ეს ისეთივე უსაფუძვლო მოსაზრება ნიცხეს აზრით, როგორც წინეთ — «ცოდნა ცოდნისათვის». „კეთილს“, „გულ-შემატკიცრობას“ და სხ. მხოლოდ მაშინ აქვთ განსაკუთრებითი მნიშვნელობა ცხოვრებაში, როდესაც ვიცით, აქვს თუ არა კაცობრიობას დასახული რამე საერთო „მიზანი“ და თუ აქვს, რაში მდგომარეობს იგი. ნიცხე გვეუბნება, რომ ყველგან და ყველასათვის სავალდებულო მიზანი კაცობრიობას არა აქვს: საით მიიღოს ჩვენი ცხოვრება, რა მოავალი მოგველის, ან რაში მდგომარეობს ჩვენი დანიშნულება; სად არის თავი, ან სად არის ბოლო, — ყველა ეს კითხვები მუდამებს იწვევდენ სხვადა-სხვა პასუხთ აღამიანთა შორის. „ადრე არსებოდა — ამბობს ნიცხე — ათასი სხვა-და-სხვა მიზანი, ეს იმიტომ, რომ არსებობდა ათასი ერთი. ახლა გვაკლია ჯაჭვი ათასი

<sup>1)</sup> იხ. «По ту сторону добра и „зла“» гл. 123.



თავის შესაბოჭათ, გვაკლია ქრისტული საყოველთაო მიზანი. კაცობრიობას ჯერ კიდევ არ აქვს მიზანი<sup>2)</sup>). თუ არ არსებობს ერთი საყოველთაო მიზანი, რომელიც გზის-მაჩვენებელ ვარსკვლავათ უნდა უძლოდეს კაცობრიობას წინ, რა უფლება გაქვთ — გვეკითხება ნიცშე — როდესაც ქაღაგებთ, კაცობრიობა უნდა ემსახურებოდეს „კეთილს“, იგი უნდა იყოს გამსჭალული გულ-შემატკერია და სიყვარულით მოყვასისადმი? ნიცშეს აზრით ის, რაც აბ-სოლუტური მორალის სახელს ატარებს, არის მხოლოდ ესა თუ ის შეხედულება მორალზე და არა თვით მორალი: ამ უკანასკნელის მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენათ სასარგებლოა იგი საზოგადოებრივ ცხოვრების ამა თუ იმ ხანაში.

ჩვენ არ ვიცით, აცხადებს ნიცშე, „კეთილი“ ყველ-გან და ყველასათვის „სიკეთის“ მომტანია თუ არა; არც ის ვიცით «პოროტი» მარტო «ბოროტებას» წარმოადგენს თუ არა; გვაქვს უფლება ვიფიქროთ, რომ რაც ერთისათვის „შარბათს“ წარმოადგენს, მეორისათვის — «სამსალას», რაც ერთს „ბოროტათ“ მიაჩნია, მეორის თვალში ნამდვილი „კეთილია“. „ბევრი ისეთ რასმე — დაქნეს ნიცშე — რომელსაც ერთი ერთი ეძახოდა სიკეთეს, მეორე ერთი იხსენიებდა სისაძგლის სახელით: ასე ვნახე მე ეს. ბევრი ისეთი რასმე, რომელსაც აქ ეძახოდენ ბოროტებას, იქ ძვირფას ძოწეულში იყო გახვეული<sup>3)</sup>.

ნიცშეს აზრით, კაცობრიობის ცივილიზაციაში ყოველგვარ სიბოროტეს ისეთივე შეინუბლობა აქვს, როგორიც სიკეთეს. „ჩვენ ვფიქრობთ — ამბობს ნიცშე — რომ სისატიკე, ძალ-მომრეობა, მონობა, სტრიციზმი, გულ-ჩახეულობა და ყოველგვარი ღვარძლიანობა, რომ ყველაფრიდი ბოროტი, საშინელი, ტირანიული, მხეცური და გველური ისე კარგათ ემსახურებიან დამიანის ბუნების ამაღლებას როგორც ყველა ამათი წინააღმდეგი თვისებანი<sup>4)</sup>.

ნიცშე ჩივის, რომ ახლანდელ ევროპაში მორიალი მიეცა. „ჯოგური ხასათი“, თვით ქრისტიანეთა მორალი არის „მონათა მორალი“. მისი აზრით, «მონათა მორალმა» გაათახსირა პიროვნება და გარდაქმნა იგი კრავათ. ნიცშე ამბობს: «კეთილ-სათნოებას ისინი (ე. ი. ადამიანები) ეძახიან იმას, რაც კი ადამიანს ჰქმნის ზომიერათ და მშვიდობიანათ: ამიტომ მათ მგელი ძალლათ გადაკეთეს, თვით ადამიანი გარდაქმნებს შინაურ ცხოველათ<sup>5)</sup>.

ზეობის სხვა-და-სხვა პრინციპებს ადამიანები აღიარებენ ერთი-მეორის მიბაძით. აი, როგორი სიტყვებით მიმირთავს მათ ნიცშე: „ოქვენ განვლეთ გზა მატლიდან დაწყებული ადამიანიმდე, მაგრამ კიდევ ბევრი დარჩა თქვენში მატლისებური. ოდესმე თქვენ იყვით მაიმუნები და ახლაც ადამიანი უფრო ემგზავსება მაიმუნს, ვიდრე თეთონ მაიმუნი“).

ნიცშეს აზრით, ცბიერებას, ფარისევლობას ახლა უფრო დიდი ალაგი უჭირავს ადამიანის ცხოვრებაში, ვინემ ველურ ხანებში. «არიან ისეთები ამბობს ნიცშე — რომელიც თვლიან კეთილსათნოებათ, თუ გაიძახიან:

<sup>2)</sup> იხ. „Такъ говорилъ Заратустра“ გვ. 64.

<sup>3)</sup> იხ. „Такъ говор. Зар. გვ. 62.

<sup>4)</sup> იხ. «по ту стор. доб. и зла» გვ. 71.

<sup>5)</sup> იხ. „Такъ говор. Зар. გვ. 164.

<sup>6)</sup> იხ. „Такъ говор. Зар.“ გვ. 9.

«აუცილებლათ საჭიროა სათნოება» მაშინ, როდესაც უცილში რწამთ რომ აუცილებლათ საჭიროა პოლიცია», ან კიდევ — „არიან ისეთი, რომელნიც ამაყობენ თავის ერთი-მუქა სამართლიანობით და მისი სახელით ყოველ ნაბიჯზე ძალ-მომრეობას ჩადიან: ასე როგორ ქვეყანა იღრჩევა მათი უსამართლობით.

ადამიანები ძრწიან ყოველი ახალი აზრის, ყოველი შეუპოვარი ნაბიჯის წინაშე, — „შიში არის მორალის დღიდა“<sup>8)</sup>, აცხადებს ნიცშე.

ნიცშეს აზრით, გულ-შემატკერია, რომელიც აღიარებულია ადამიანის ზეობის უმთავრეს ატრიბუტათ, არც დაფუნქციებული „ბატონობის მოყვარეობაზე“. როდესაც ჩვენ ვხედავთ ადამიანს რაიმე განსაცდელში, დადარებო ჩვენს და ამ ადამიანის მდგომარეობას ერთა-მცოლეს, ამას შედეგათ მოგვეს ის, რომ ჩვენ ერთი მხრით ვგრძნობთ ჩვენ უძლობებას, მეორე მხრით კი გვიხარია, რომ ჩვენ თავისუფალი ვართ მზგავი განსაცდელისაგან; ბოლოს ჩვენ მივდივართ და დახმარებას ვუწევთ გატირვებულს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვამტკიცებთ ჩვენ ძლიერებას, ჩვენ უპარატესობას ამ ადამიანზე, — ყოველივე ეს სიამოვნებას ვკრის ჩვენ „ბატონობის მოყვარეობას“. ნიცშე ქადაგებს „კარვი იქნებოდა სრულიათ მოგვესპო მათხოვრები! სწორეთ ბრაზდები, როდესაც იძლევ მათ მოწყალებას, ბრაზდები მაშინაც, როდესაც არ აძლევა<sup>9)</sup>.

ნიცშე მოთელი თავისი მჭერ-მეტყველებით, მოთელი თავისი ენერგიით ეომება ძველ ღმერთებს; იგი აცხადებს თავს ყოველი ძმის შეურიგებელ მტრათ, რასაც კი საზოგადოებრივი მორალის სახელი ჰქვია; მას გულს უწყლავს ის გარემოება, რომ ყველა ხეპრულათ გაიძახის ლამაზ სიტყვებს «კეთალი», «სიბრალული», «სიყვარულია» და ვერავის ვერ შეუვნია, რომ ისინი ამით ამტკიცებენ თავის თუთიყუშობას და სირევნეს. ნიცშე ქადაგებს: განაგდეთ ძველი „კერპები“ და ამართოთ ახლები, იგი ამბობს: «დააშხერიეთ, ძმანო, ძველი სჯულისფურა; ეს უკანასკნელი დაკიდეს ცხოვრებისაგან დაღლილებმა, სიკვდილის მქადაგებლებმა და მესაკანეთ. შეხეთ, ეგ ხომ მონობის ქადაგებაა?»<sup>10)</sup>.

ნიცშე ეძებს ახალ სჯულს ადამიანისთვის, მხოლოდ არა იქ, სადაც ყველა მეცნიერები ეძებდეს აქმომდე; მას უნდა, გააქარწყლოს ყველა არსებული „ლირებულებანი“ და მათ მაგიერ შექმნას ახალი. მისი აზრით, ძველი კრიტერიუმი, რომლითაც ხელმძღვანელობდენ შეცნიერნი „კეთილის და ბოროტის“ განსაზღვრაში, სრულიად უვარგისია; თუ ვეინდა, რომ მსჯავრი დავდოთ „კეთილის და ბოროტის“ მნიშვნელობას ცხოვრებაში, ჩვენ თვითონ უნდა განვთავისუფლდეთ ყოველი იმ შეხედულება-რწმენისაგან, რომელიც შევვითვისებია მეტკიც-რებით ან არსებულ საზოგადოებისაგან, ერთი სიტყვით, უნდა გავიდეთ «კეთილი და ბოროტის» იქითა მხარეს და იქიდან შევუდგეთ ამ ცნებათა აწონ-დაწონვას.

ნიცშე გვეუბნება, თუ ძველი „ღმერთები მოვკალით“, რაღა ღაგვრჩენია ამის მეტი, „რომ თვით ჩვენი თავი გავაღმერთოთ“. დიახ, აცხადებს ნიცშე, კაცობრიობას კიდევ დარჩენია ერთი დანიშნულება: ადამიანმა თავისი თავი უნდა დასახოს «ღმერთათ». კაცობრიობის უწმინდეს მიზანს დღეის იქით უნდა შეადგენდეს ინდივი-



დის უმაღლესი განვითარება, მასი სრული განთავისუფლება ხაზოგადოებრივ მორალის, სარწმუნოების, ჩვეულებისა და თვით კანონისაგან; მან უნდა განაცამტვეროს ყოველივე საზოგადო აზრი, რომელიც ხელ-ფეხს უკრავდა მას აქამდე. კეთილი და ბოროტი, სათნოება და გულლვარძლიანობა, სიმართლე და სიცრუე და ბევრი სხვა უნდა ცნეს აღარებული სრულ სისულელეთ. ინდივიდი თვითონ უნდა გახდეს თავის საკუთარ მორალის და სარწმუნოების შემქნელათ; მისთვის არ არის სავალდებულო არც ერთი გარეშე კანონი. ნიცშე აქებს იმას, ვინც ამბობს: «ეს არის ჩემი «კეთილი» და ესეც ჩემი „ბოროტი“<sup>11)</sup>, ან კიდევ — „მე ვარ სახელმწიფო, მე ვარ ერი“<sup>12)</sup>.

აღამიანმა უნდა დაანარცხოს მიწაზე ყოველივე მოვალეობა. „ვინ არის ის დიდი დრაკონი — კითხულობს ნიცშე — რომელსაც ლომის სული არ ცნობს თავის ბარონათ და ღმერთათ? ამ დიდ დრაკონს ეწოდება „შენ მოვალე ხარ“, მხოლოდ ლომის სული ამბობს «მე მინდა»<sup>13)</sup>; ამ ორ მიღრეკილებათა შორის, ნიცშეს აზრით, ბრძოლა უნდა გათავდეს პირველის დამარცხებით. აღამიანი უნდა მიიღო ტოლეს იქით კენ, საითაც უთთოებს მას მისი სურვილი, ის უნდა მოქმედებდეს თავის საკუთარ მიღრეკილების შთაგონებით. „მოიქეცი თქვენი საკუთარი სურვილის შესაფერ — გვეუბნება ნიცშე — მაგრამ ყველაზე წინ გახდით ისეთ აღამიანებათ, რომელთაც შეუძლიათ საკუთარი სურვილი იქონიონ“<sup>14)</sup>.

ნიცშეს აზრით, ინდივიდმა უნდა დაუპირდაპიროს მთელ კაცობრიობას თავისი „ნება“, მან უნდა დაამტვროს და გაანადგუროს ყველაფერი, რაც კი მის „ნებას“ გადაელობება წინ; იგი უნდა ემორჩილებოდეს თავის ნებას, რადგანაც, ნიცშეს სიტყვების თანახმათ, ვისაც არ ძალუს დაემორჩილოს «თავის ნებას», იგი უსათუოთ „სხვისი ნების“ მორჩილი უნდა ვახდეს. «ჩემში არის — ამბობს ნიცშე ზარატუსტრის პირით — რაღაც ისეთი, რომელსაც ვერაფერი ვერ ავნებს, ვერ დამარხავს, და რომელიც პირქვე აქცევს უზარმაზარ სალ-კლდებებს — ეს რაღაცაც არის ჩემი ნება. დიახ, შენ (ნება) ჩემთვის საფლავების დამქცევი ხარ, გაუმარჯოს ჩემ «ნებას! მხოლოდ იქ შეიძლება განახლება, სადაც საფლავებია»<sup>15)</sup>.

როგორც ხედავთ, ნიცშეს სწავლის დედაბირი მდგომარეობს იმაში, რომ აღამიანმა უნდა ამოიგლიჯოს თავის სულიდან ყოველივე ის, რაც კი გადმოუციათ მისთვის წინაპართ მემკვიდრეობით, რითაც კი ასაზრდოებს მას თანამედროვე გარეშე პირობები, ერთი სიტყვით, რაც „იყო“ და „არის“ და მის მაგიერ ააგოს თავის საკუთარი წმინდა ტაძარი. მის თვალში კეთილს და ბოროტს ერთვარი ფასი აქვს, მისთვის სულ ერთია პირველს ემსახურება აღამიანი თუ მეორეს, — მას აინტერესებს არა ის, თუ რა დაუსახავს აღამიანს თავის სათაყანებელ ხატათ, არამედ ის, თუ რანაირათ ემსახურება იგი ამ ხატს. აქედან, მისი აზრით, „კეთილი და ბოროტი“ ორივე ერთნაირათ დასაგმობია, თუ კი ისინი არიან გამოწვეულნი «ჯოგურის გრძნობით», ე. ი. «საზოგადოებრივ მორალის» მიმბადველობით.

ნიცშეს სასიქადულოთ მიაჩნია ის აღამიანი, რომელიც შზათაც ეწამოს, ოღონდ კი თავის აზრის თავისუფლება დაიცვას, სულ ერთია, მაგნეა ეს აზრი მისთვის თუ

სასარგებლო. «თქვენ უნდა იმზოდეთ — ამბობს ნიცშე — თქვენი აზრისათვის! და თუ თქვენი აზრი ძლეულია, თქვენმა გულწრფელობამ მაინც უნდა იდღესასწაულოს ძლევა-მოსილობა»<sup>16)</sup>. ნიცშე ფიქრობს, ადამიანი იმიტომ კი არ უნდა მიესწრაფებოდეს რომელიმე იდეალი-საკენ, რომ ამას უბრძანებს საზოგადო მოვალეობა, არა მედ იმიტომ, რომ ამ იდეალში გამოხატება მისი საკუთარი ბუნება. მისი სულის კვეთება. ნიცშეს აზრით, «აღამიანის» ბუნება მაღალ რასმე წარმოადგენს, ამიტომ იგი ირყვნება და სამარცხვინო ხდება, როდესაც ემორჩილება ქვეყნის მითქმა-მოთქმას. ნიცშე მოგვმართავს შემდეგი სიტყვებით: „კეთილ-სათნოება უნდა იყოს თქვენი სულიერი არსება და არა გარეგანი რამ ტყავი, ტანთსაცმელი“<sup>17)</sup>. ნიცშე აფასებს იმ აღამიანს, რომელიც ამბობს თავის კეთილ-სათნოებაზე: «მე იმიტომ კი არ მინდა ვუფლობდე კეთილ-სათნოებით, რომ ის აღიარებულია კანონათ ლვთისაგან, არც იმიტომ, რომ ის კაცობრიობის მიერ შექმნილი დაწესებულება და აუცილებლობაა: ის არ მემსახურება მე წინამდღვრათ არც ცაში და არც სამოთხეში“<sup>18)</sup>.

ნიცშე გმობს იმ აღამიანს, რომელიც ზომავს თავის მოქმედებას საზოგადო ან კერძო სარგებლობის ადლით, რომელსაც გამოყავს თავის მოქმედების ღირსება-ნაკლულევანება «შედეგიდან». ყველა ამათ ნიცშე ეძახის «საცოდავ უტილიტარისტებს». აქედან ყველა ის მოღვაწენი, რომელიც რაიმე პრეტენზიას აცხადებენ საზოგადოების წინაშე, ე. ი. რომელნიც ელიან ამ უკანასკნელისაგან პატივს და ზეიმს თავის მოღვაწეობის სასყიდლათ, ნიცშეს აზრით დასაგმობი არიან. იგი გვეუბნება: «თქვენ გიყვართ თქვენი კეთილ-სათნოება, როგორც დედას — შვილი. განა ვის გაუგონია, რომ დედა თხოულობდეს სასყიდლს თავის სიყვარულისათვის. თქვენი კეთილი სათნოება — ეს თქვენი შვილია»<sup>19)</sup>.

ნიცშეს წარმოდგენაში ცხოვრების გზა ეკლით არის მოფენილი. აი, როგორ სახავს იგი ცხოვრებას: „თეით ცხოვრება უმთავრესათ არის ძალათ-მისაკუთრება, დაზიანება, ძალ-მომრეობა, შევიწროება, თავის საკუთარ ფორმის სხვაზე ძალათ მოხვევა და, უკეთეს შემთხვევაში, ექსპლუატაცია“<sup>20)</sup>. მიუხედავთ ასეთი სასტიკი პირობებისა, ნიცშეს აზრით, ინდივიდი უნდა იყოს აღჭურვილი შემოქმედებითი ნიჭით: მან თავის საკუთარი ძალ-ლონით უნდა შეიგნოს ცხოვრების ღრმა ამოცანა, ჩაუნერგოს აზრი (ცმისლე) თეით აღამიანის დანიშნულებას, შეიმუშავოს სრულიად დამოუკიდებელი შეხედულება მომავალზე. ნიცშეს აზრით, ნამდვილი აღამიანი ისეც დატვირთულია მოვალეობით თავის თავის წინაშე, რომ მას კიდევ არ მოგახილოთ თავზე ქვეყნის ჭირ-ვარამი; ის მთელ თავის სიცოცხლეს საკუთარი სულის კვლევა-ძიებაში ატარებს, — ის მუდამ მიდის იმ გზით, რომელსაც მიყავს იგი თეით მისი კენევე. «ამ გზაზე, ამბობს ნიცშე, შენ გახდები თეით შენივე წინააღმდეგი ერეტიკოსი, ჯალოქარი, ქურუმი, სულელი, სკეპტიკი, უწმაწური და მტარვალი»<sup>21)</sup>.

ნიცშე გმობს იმათ, ვინც ეპიკურის მომხრენი არიან ცხოვრებაში. «სრულიად არ უნდა გვსურდეს ნეტარება», გვეუბნება ნიცშე იგი კისავს იმათაც, რომელნიც ღებულობენ ზომებს ჩაიკლინ თავის გულში ყოველივ-

ლტოლვილება, ყოველივე ის, რასაც კი მათი ბუნება თხოულობს; ისინი, ნიცვეს აზრით, არასოდეს არ ყოფილან ადამიანები, რადგან ქადაგებენ სიძულვილს ცხოვრებისადმი. ის, ისინი—ამბობს ნიცვე—რომელთაც სული დაჭლექებული აქვთ: ისინი დაბადებიდანვე სიკედლისაკენ მიღებიან და ნატრობენ ისეთ სწავლას, რომელიც ქადაგებდეს დალლილობას, უარ-ყოფას».

ა. ჩერებლი.

(დასასრული იქნება)

### შავი პირი და მასთან საბრძოლველი ზოგადი.

შავი ჭირის უმთავრეს ეპიდემიების დაპარალება ძველი დროიდან ჩვენამდინ.— ავი ჭირის შპამის ძალის შესუსტება.— შავი ჭირი ინდოეთში 1894 წ.— შავი ჭირის მიკრობის აღმოჩენა იურსენისაგან და კიტაზატოსგან 1894 წ.— შავი ჭირის საპი სახე: ჯირვლეული, ფილტების და ტეპტიცემიური და 1% მომავლავთა შველა ამ სახეთა დროს.— ავათ სკოფობის გამოცნობა ხშირად შეეძლებელია, თუ ბატერიოლოგიური ცნობები არ გვმენება, განსაკუთრებით ძნელი გამოსაცნობია ჯირვლეული შავი ჭირი.— შავი ჭირის წამლობა.— წინასწარი ზომები შავი ჭირის წინააღმდეგ. იქნიზაცია, ან ხელოვნურათ ავთ გახდენისაგან უზრუნველყოფა, დეზინფექცია, იზოლაცია.— რატომ შავი ჭირის წინააღმდეგი შრატი ყოველობის ვერ აღმევს მიზანს.— გარეშე მიზეზები და შინაგანი.— აქტიური და ვასიკი იმუნიზაცია.— ჩავანის ლამაზა და მისი ძალა.— დასტენა.

შავი ჭირი ახალი ავათმყოფობა როდია. ისტორიული ცნობებით ვიცით, რომ ეს ავათმყოფობა ედგბოდა ასურეთს, ეგვიპტეს და ლივიას ქრისტეს დაბადებამდინ. დიდი ეპიდემიები ძველი ისტორიისა 430-425 წ. ქრისტეს წინეთ, 165-168 წ. ქრისტეს შემდეგ და 531-580 წ. რაოდენათმე სხვა ხსიათის ეპიდემიებს უნდა მიეთვალოს, ხოლო იუსტინიანეს დროს შავი ჭირი (531-580) იყო ნამდვილობათ შავი ჭირი, როგორც ჩვენ დღეს ეს გვესმის. მე-VI-დან მე-XIII საუკუნის გასულამდე უფრო ხშირად ხშირად ცნობას შავი ჭირის ამაოხრებელ ეპიდემიებზე. მე-XIV საუკუნეში შვერმა ჭირმა დიდალი ხალხი დაულიტა. მე-XV საუკუნეში შავი ჭირის ეპიდემია გამეორდა ხ-ჯერ, მე-XVII ს.—ორჯერ, მე-XVIII ს.—ხუთჯერ, მე-XIX ს. კი იყო საქართველოში, ასტრანანში, ოდესაში 1812 და 1837 წ., კოლობოვკაში—1899 წ., იმავე წელს კიშკენე-არალში, 1900 წ. ვლადიმიროვებაში და კირგიზთა ეწრების აღმოსავლეთ მხარეებში, წელს კი ოდესაში.

შავი ჭირის უმთავრესი ეპიდემიების ისტორიული განხილვები სულ ყველა მკვლევარი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ის წყარო, საიდანაც ევროპას ედება შავი ჭირი, არის აღმოსავლეთი—აზია ან აფრიკა, საიდანაც სენი ზღვით გადმოდის სამხრეთ და დასავლეთ ევროპაში, ხოლო ხმელეთით—აღმოსავლეთ ევროპაში.

წინადელ დროში შავი ჭირი ნამდვილი ღვთის რისხეა იყო კაცობრიობისათვის. საქმარისია გავიხსენოთ, რომ ევროპაში მე-XIV საუკუნეში ამ სენმა იმსხვერპლა 25 მილიონამდე ადამიანი. დღესაც ჩინეთის და ინდოეთის დაბალი კულტურის ხალხს მუსრს ავლებს შავი ჭირი. ასე 1894 წ. ჩინეთის ქალაქ კანტონში რამდენიმე კვირის განმავლობაში იმსხვერპლა 60 ათასზე მეტი ადამიანი, გონ-კონგის საავათმყოფოებში კი შავი ჭირისაგან იხოცებოდა 95% ავათმყოფი ჩინელები.

ამ ეპიდემიის დროს ჩინეთში 1894 წ. ორმა გამოჩენილმა მეცნიერმა—იაპონელმა კიტაზატომ და ფრანგმა

იქნას სრულიად დამოუკიდებლით აღმოაჩინეს შავი ჭირის ბაცილა; იქნენმა ვათმყოფობასთან საბრძოლებელი საშუალება ცვალები ადამიანი ხოცება. 1894 წლიდან გამოკვლევა ამ ავათმყოფობის შესახებ მაღიან წინ წაეიღა. სამეცნიერო ინსტიტუტები შეუდგენ შავი ჭირის მიერობის ყოფა-ცხოვრების შესწავლის, აღმოჩნდა ახალი საშუალება სენისაგან დასაფარავთ, ხავკინის გამოგონილი. ამას შემდეგ გზენილმა ეპიდემიებმა კი როგორც რუსეთში, აგრეთვე ინდოეთში და ისპანიაში (ოპორტუში) შედლება მიცა მეცნიერო, უფრო ახლო გაცნობილების სენის მიმღინარებას და მის თვისებებს. ამნაირათ დღეს შეგროვდა საკმაო სტატისტიკური მასალა, რომელიც საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, თუ რამდენათ შესაძლოა ზე ჭირთან ბრძოლა აცრით და იგრეთვე თუ რა გაელენა აქვთ სხვა-და-სხვა პირობებს: სოციალურს, ჰავას, კარინ-ტინებს და სხვ.

დღეს უკვე გამორკვეულია შავი ჭირის სამი ფორმა: 1) ჯირვლეული, 2) ფილტების და 3) სეპტიცემიური. ეს სამი ფორმა საერთო განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და იმავე დროს ბევრი საერთო აქვთ ერთმანეთში; ეს ასეც უნდა იყოს, რადგან სულ ყველა ეს ფორმები გამოწეულია ერთი და იმავე მიზეზით: შავი ჭირის ბაცილას (*Bacillus pesticum*) აღმიანის ორგანიზმში ჩანერგით. ხოლო ეს ბაცილა ერთ შემთხვევაში ორგანიზმში შედის დაზინცბული კანიდან (ან გაფხაჭილი იქნება, ან მწერის ნაკბენი), აგრეთვე ჭირის ლორწოიანი კანიდან, მეორე შემთხვევაში ის პირდაპირ ფილტებში ჩადის და აქ იწყებს თავის გამახადგურებელ მოქმედებას. რაკი ბაცილა კანიდან მოეჭირება ლამფატიურ მილებში, ის შედის უახლოეს ლიმფატიურ ჯირყვალში და აქ იწვევს ანთებას, ჯირყვალი სივრდება. ის ეს ფორმა შავი ჭირისა არის კასუკელეული შეგ ჭირი. ფილტების შავი ჭირი ჩანდება, მაგრა ბაცილა დამოუკიდებლით პირის შემწეობით ჩადის ფილტებში. მესამე—სეპტიცემიური ფორმა შეგვდებათ როგორც ჯირყვლეულ ისე ფილტების შავ ჭირთან და ჩნდება იმ შემთხვევაში, როგორც ორგანიზმი მეტათ მიმზიდვები და მერმინის გარემონტირების შემთხვევის. ორ პირველ სახის დროს, როგორც ბაქტერიი—შედიან ინფიცირებისათვის, რა პირველ სახის დროს, როგორც ბაქტერიები შედიან ინფიცირებისათვის, ჩვეულებრივი გვერდინების შემთხვევაში, ან და ფილტებში აჩენენ ანთების საბუღარ აღგილებს და თუ (რაც ხდება ჭირყვლეული ჭირის დროში) ჩინებიან სისხლში, ისიც მხოლოდ მაშინ, როგორც აკამდებარება უკანასკნელ წუთებშია. სეპტიცემიური სახის დროს კი ბაქტერიები ჩინებიან სულ ყველა როგოროვებში და ერთხმავ დღედინან სისხლს, როგორც ბაქტერიები შედიან ინფიცირებისათვის, ჩვეულებრივი გვერდინებისათვის მრავლდებიან. თუ ჭირი პირველი ფორმისაა, აღამიანი კვდება ჩვეულებრივი 5-6 დღეს; სიკვდილის წინეთ დამბლა ეცემა სასუნთქ კუნთებს და გულს. მომკვდართა 1%—75-90-მდებარება არ არის. ფილტების ჭირი სიკვდილის იწვევს მე-2-3 დღესაც და გადარჩენა იშვიათი შემთხვევაა. კვდება 99%. მესამე სახის დროს სიკვდილი უწევს მე-2-3 დღეს და მკვდართა 1%, აღის 98—99-მდე, რა გვირკიველია იმ შემთხვევაში, თუ ავათმყოფს არ უაქიმნია. საუბედუროთ, ჯერაც არ ციცით ისეთი ნიშნები,



რომელთა შემწეობით შეგვეძლოს აეთმყოფობის თავი-დან გამოცნობა. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ხშირად შეიტკირით ავათ გახდომის პირველი შემთხვევები შეუნიშნავათ რჩება. ძნელი შესანიშნავია სენი, როცა ფილტვიბის დაავათმყოფების სახით ჩნდება ძალიან აღვილი გამოსაცნობია, როცა ჯირკულებული ფორმისაა, პირველ შემთხვევაში ავათმყოფობა ხშირად აჩენს ფილტვების ჩქარ ან თებას; ეს ანთება წაგავს ჩვეულებრივ ანთებას, რომლის გამოწვევა შეუძლია შეიტკირის გარდა სხვა გადამდებ აეთმყოფობასაც. ასეთი ფილტვების ანთება ამას წინეთ გაჩნდა ჩვენში, ჭიათურაში, რამაც ძალიან დააფიქრა ხალხი, შეიტკირი ხომ არ გვეწვია. აღმოჩნდა, რომ აქ ფილტვების დასენარება გამოწვეული იყო მუცლის და შეგრუნებული საოფლეთი.

ერთი სიტყვით, შეიტკირის გარეგნული ნიშნები იმდენათ დამახასიათებელი და თავისებური არ არიან, რომ მათი შემწეობით შესაძლო იყოს ყოველ შემთხვევაში დაბეჭიოთებით ავათმყოფობის გამოცნობა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ავათმყოფობის გამოსაცნობათ ბაქტერიოსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ, რომელიც დაიწყო 1894 წლიდან, მას შემდეგ, რაც იერსენმა და კიტაზატომ აღმოჩინეს შეიტკირის ბაცილა. ექიმი.

(დასასრული იქნება)

### პართული თეატრი რუსთავში.

(პატიოსნება, კომედია 4 მოქმ., ზუღაშანისა. ჭირა, 22 დეკემბერი).

„რა არის პატიოსნება?“ — »პატიოსნება ერთია“ თუ „იმოდენი, რამოდენი წრე არსებობს ცხოვრებაში?“ კითხვები ძლიერ ძველი და მასთანვე ახალი, რთული და საინტერესოა. მის გადაწყვეტას ბევრი გონგბრივი ძალა მოახმარეს მე-XVIII და მე-XIX საუკუნის მორალისტებმა. ზნეობრივი კითხვის გადაწყვეტას შეუძლია ბოლო მოუღის ასეთ საკითხებს. დღესაც, როდესაც რაციონალური ფილოსოფია ფრთა გაშლილია, კითხვა კითხვათვეა დარჩნილი, რასაკირველია, იმ აზრით, რომ ყველასათვის კითხვას აქსიომის სახე არ მიუღია. ზუღერმანმა ზემო დასახელებულ კომედიაში ეს საკითხი სცენაზე გადიტანა და იქ მისი გადაწყვეტა მოინდობა. მან კიდეც საკმაოთ მორთული პასუხი მოვცა. «პატიოსნება ყოველ წრეს თავისი აქსო», ლაპარაკობს გრაფი ერასტი და ამ დედა-აზრის სიმართლის გამოსამულავნებლათ არის აშენებული მთელი პიესა. პიესას საერთოო აჩნია მძლავრი ნიჭით შეიარაღებული ხელი გერმანულ ცნობილ დრამატულებისა. საერთოო პიესა ძლიერ საინტერესოა. სხვა და სხვა ზნეობრივი შეხედულობის ხალხის ხელოვნურათ დახასიათება, სხვა და სხვა სოციალურ საფეხურზე მდგომ აღმაინების დახატვა — მას ხდის გონგბრივი და სულიერი საზრდოს მომცემათ. აქ არის ბურუუ, დახასიათებულია მუშის ოჯახი, გამოყანილია თანამედროვე ცხოვრების დარჯაკში გარებული არისტოკრატი, დახატულია homi novus-i ზნეობრივი შეხედულება ამ სხვა-და-სხვა ჯურის ადამიანთა სულ სხვა-და-სხვა გვარია. ლოტორ ბრანდაგი — ეს სათაღარიგო ჯარის სასაცილო პარუჩიკი — თავის კომპანიით რჩიანათ აღიარებს: პატიოსნება ერთია, ვითაც მამა ღმერთი; ყოველმა კაცმა მას უნდა შეუწონ-დაუქვემდებაროს თავის მოქმედებათ. რაც არ თავ-

დება ამ ერთხელ გაჩენილ და არ გაზდილ ჩარჩიში — ის უპატიოსნების სახელს ატარებსო. ასეთი ვითომდა «წმიდა პატიოსნების» მატარებლათ თავი მიაჩინათ ცხოვრებაში გაბატონებულ კლასებს. ბურუუზული მორალი (homo homini lupus) ეხვევა სუფთა მანტიაში. სასაცილო პარუჩიკი და არა ნაკლებ სასაცილო თმახუჭუჭა შტენგელი ფურცლის და კ"-ის დამტებით ამ შეხედულობის ზეწარში არ ეხვევიან ქვენარე გრძნობების დასამალავათ? მოიგონეთ ბრანდტის და გრაფ ტრასტის შეტაკებაები? კურტის მოქმედება? თვით მიულინგის შეხედულება და მოქმედება? როგორ გონვარივ და სულიერ სიღატავეს აფარებენ „პატიოსნების“ მომხიბლველ შირმას? როგორი კაღნიერებით ხმარობენ ამ მათ მიერ ქებულ „პატიოსნებას“. განა ეს «ერთ-პატიოსნება» არ მოგაგონებთ იმ ორპირა მახვილს, რომელსაც ხმარობს ჩვენი საზოგადოების ერთი ჯგუფი? ჩვენი ბურუუ-ლიბერალები და არის-ტოკატ-კონსერვატორები არ იქნევენ ამ ხმალს და არ იცავენ მით თავს? მარა დაეუბრუნდეთ მეორე ჯგუფის პატიოსნებას, რომლის განხორციელებული წარმომადგენელი გრაფი ტრასტია და მიმდევრებათ შეიძლება რომ ერატის და ლეონორის ჩათვლა. აქაც პატიოსნების თეორიული ბაზისი თანამედროვულია და სამართლიანი. ტრასტის აზრით, პატიოსნება პროდუქტია საზოგადოებრივ ცხოვრებისა; ის დაიბადა და იზრდება საზოგადოებრივი დამოკიდულებაში. მისი ევოლუციური წინსვლა ეჭეს გარეშე. ასეთი პატიოსნებაც პირობების და მიზეზების მიხედვით სხვა-და-სხვა გვარი უნდა იყოს. ყოველი ჯგუფი განვითარება-მჟღერეტელობის მიხედვით თავის საკუთარ პატიოსნების მატარებელია. ასეთ მდგომარეობაში, რაც ერთ ჯგუფს პატიოსნებათ ექვენება, მეორესთვის ის უპატიოსნებაა. განა ლეონორა და კურტი სხვა-და-სხვა ენაზე არ ლაპარაკობენ? განა რობერტის და აღმას ეს-მის ერთმანეთის ენა? ან გრაფს და ბრანდტს გაეგებათ ერთურთის? პრაქტიკულათ ამ მოსაზრებას ახორციელებს თვით ტრასტი ლეონორა და ბრანდტთან ერთათ. ისინი თუმცა პატიოსნების ზრდას აღიარებენ და მის სხვა-და-სხვობას, ზნეობრივი პიროვნება, მათი მორალი პატიოსნებისა. სცენიდან ის მაინც ხიბლავს ხალხს. განა აღტაცებული საზოგადოება ლეონორა-აზრისტს უკრავს ტაში? არა და ათასჯერ არა! ის იხიბლება ლეონორას ზნეობრივი პირისახით, მისი მოქმედებით, მისი სიტყვებით! მის გულში ახალ გრძნობას აღვიდებს თვით ტიპი, რობერტის უკიდურესი იდეალისტობა არ ესმის ხალხს საესებით; ის მეტ პატიოსნებას გრაფ ტრასტს. უკანასკნელი თავის მძლავრი ხასიათით და პრაქტიკული კუთი იზიდავს ხალხის გულს.

პიესა საზოგადოთ მწყობრათ და ხელოვნურათ უყო წარმოდგენილი. ბ. მესხიშვილის ხელოვნური დიჭყალა და ზომიერება, როლის შეგნება შესისხლ-ხორცება ცოცხალ ტიპათ ხატავდა რობერტს. კ. ყიფიანიც თავის ალაგას იყო და ჩვეულებრივ სიმაღლეზე ეჭირა ამ სალამოსაც ხელოვნების ღრმა. მან ნიჭიერათ დაგვიხატა ორიგინალური ტიპი — გრაფი ტრასტი. დაკვირვება და ბუნებრივობა სიმოვნებას გვრიდა მაყურებელს.

ვ. შავდა

### შეცდომის გაცოდება.

ქუთაისის საბჭოს მხრივთ ნინა ჩეიიძის სასარგებლოთ  
გამართული წარმოდგენისთვის დაუმიმა უფრო თუატრია და  
არა საზოგადოთ სასადას წარმოდგენისთვის, როგორც  
ჩეი გვქონდა მოხსენებული წინა ნომერში.

წინა ნომერში, გვ. 1023, შეცდომით დაბუღდილია;  
არ უნდა დავიკიტუთ ისიც, რომ ინდივიდუალისტები პრინ-  
ციპალურათ უარეთდებ საზოგადო ორგანიზაციას» და სხვ.  
უნდა იყოს „ინდივიდუალისტები არ უარეთდებ საზოგადო  
ორგანიზაციას“ და სხვ.

რედაქტორი—გმომუ. ა. თ. წერეთლის.

## გ ა ნ კ ჲ ა დ ე ბ ა ნ ი.

კართული თეატრი.

კვირას, 16 დეკემბერს 1901 წ.

იაზ-ზასიანი თარაოდგანი.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასირ მიერ  
წარმოდგენილი იქნება.

პირველი კოტე მისამის მონაწილეობით

## ბ ო რ ბ ი ლ ი

დრამა 4 მოქმ. თ. ა. სუმბათაძილისა, თარ. ასნაზაროვის.

II.

რაც არ მერგება არ მემერგება.

გამოცდია 1 მოქმედება.

მონაწილეობენ: ქ-ნი: გაბუნია-ცავარლისა, ჩერქეზიშვილი,  
კარგარეთელი, ტასო აბაშიძე, ნებიერიძისა, მდივა-  
ნი, ლევავა. ბბ.: მესხი, გურია, გამყრელიძე, გელევანოვი,  
შათირიშვილი, აზურელი, ურუშაძე, მირიანშვილი.

დასაწყისი სწორებ 8 საათზე. ფასები დაკლებულია.

რეკლამა ვ. გუნია.

შემდეგი წარმოდგენისთვის მზადდება ახალი პიესა «ვე-  
დაგოვები» და «მუზეუმელა».

საუმარტილო ნახატებიანი ქურნალი

“

## „ქ ა ზ ი ლ ი

ვალიზადი მეცამეთი

გამოვა 1902 წლისაც თვეში ერთხელ იმავე პროგრა-  
მით, როგორათაც აქამდის. ქურნალი „ვეზილი“ მიღებულია  
და გავრცელის რედაქტორი სამთხუავდა რეკენდისაგან სასწავლებლის  
სამკითხელებში საკითხავათ.

ქურნალი „ვეზილი“ თვეიდისში დატარებით ღირს 4  
მას. თვეიდისს გარეთ გაგზავნით 5 მას. ცალკე ნომერი 50  
კაპიკი.

სელის მოწერა შეიძლება მხრივთ წლით და ნახევრ  
წლით.

სელის მოწერა მიღება:

1) თვეიდისში— „წერა-გათხვას გამ. საზოგადოების“  
განცელარაზი (Дворцовая ул. д. Груз. двор. № 101),  
და თვეიდი „ვეზილი“-ს რედაქტორი (Артиллер. ул. № 5,  
ვიზ. Кадетского корпуса).

ფუსტის ადრესი: Въ Тифлисъ въ редакцію ერ-  
зинскаго днѣтскаго журнала „Джеджили“.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Декабря 1901 г.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1902 ГОДЪ.

## Тиблісскій Листокъ

(годъ издания XXV-й).

Въ 1902 году, какъ и раньше, будетъ выходить  
ежедневно, но въ значительно увеличенномъ форматѣ.

Увеличивъ размѣры газетного листа до формата „Рус-  
скихъ Вѣдомостей“, редакція ежедневно будетъ давать  
подписчикамъ приблизительно на 4 столбца или на 600  
строкъ газетного материала болѣе, чѣмъ до сихъ поръ,  
получивъ такимъ образомъ возможность одни изъ отдѣловъ  
газеты, до нынѣ являвшіяся, за отсутствіемъ мѣста, слу-  
чайными,—вести регулярно („Обзоръ печати“, журнальное  
обозрѣніе, беллетристика и пр.), а другіе отдѣлы (внутрен-  
ней и иностранной жизни и др.)—значительно разширить.

Особенное же вниманіе редакціи будетъ обращено  
на развитіе отдѣла корреспонденцій, чтобы газета могла  
явиться возможно полной выразительницей нуждъ закав-  
казскихъ провинцій, безъ ущерба однако отдѣлу тиблісской  
жизни, на который и въ предстоя-  
щемъ году будетъ обращено преимуществен-  
ное вниманіе.

Въ 1902 году газета будетъ включать въ себѣ следующіе  
отдѣлы и подъ отдѣлы;

I. Дѣятельность и распоряженія правительства. II. Телеграммы  
отъ собственныхъ корреспондентовъ и „Российскаго тел-  
рафонаго агентства“. III. Статьи по общимъ краевымъ  
вопросамъ, а также по вопросамъ городскаго самоуправ-  
ленія. IV. Внутреннія известія. V. Иностранныя извѣс-  
тия. VI. Мѣстныя отдѣлы (хроника тиблісской жизни и  
другихъ мѣстъ Кавказа и Закавказья). VII. Наши кор-  
респонденты. VIII. Злободневные фельетоны („Мысли вслухъ“  
«Мелочи жизни», «Бѣглые замѣтки» и др.). IX. Судебныи  
отдѣль. X. Письма читателей. XI. Обзоръ печати (общей  
и кавказской). XII. Фельетоны (городской, обозрѣнія кав-  
казской жизни, популярно-научный, исторический, белле-  
тристика, иностранной и внутренней общественной жизни  
и др.). XIII. Театръ и музыка. XIV. По Россіи. XV. Смесь,  
справочный отдѣль и объявленія.

Текстъ газеты по временамъ будетъ иллюстрироват-  
ся, а по мѣрѣ надобности будутъ выходить отдѣльныя  
„ИЛЛЮСТРИРОВАННЫЕ ПРИБАВЛЕНИЯ“.

По понедѣльникамъ подписчикамъ будутъ разсыпаться  
телеграммы съ справочными отдѣломъ и объявленіями.

გამოცდა და იუილება

## კართული კედლის კალებარი!

1902 წლისა.

შეგენილი გ. თავათქმილის მიერ.

შინა არსი:

ალენდარი მართლ-მაღიდებელთა, ქართველ კათოლიკთა და სომე-  
თა სახელმწიფო დღესასწაული, სტორიული ცნობები მთვარის-  
ანგარიში, მხატვა ამოსელი და ჩასვლა. დამაკირდები, ნაკეტები,  
მოსწრებული სიტყვები, მჯამში გამოსადეგი, ცნობები და მდვდე-  
ლითი სახელმძღვანელო ხმა, კვირიაკე და საცისკო სახარება.

ფასი 40 გაზ.

## ჯიბის კალებარი

შემდეგი შინაარსით:

კალენდარი მართლ-მაღიდებელთა, ქართველიკეთა და სომეთა, სახელ-  
მწიფო დღესასწაული, ქართველთა მოწამეთა დღესასწაული, მარკა-  
ნი, საცისკო სახარება ხმა და კვირიაკე, სამეტო სახლი, დარავა-  
რი, მთვარის ანგარიში, ლების ქადალი, ვესილების და ლების-  
ქადალის ფასები, ნოტარიუსის დავილდება, ტელეგრამა, ფოს-  
ტი, მჯამში სახარებულო (ცნობანი, სამურნეო ცნობანი, საქონლის-  
წამლისა, უმთავრესი წონა, ზომა და საწყალ, რენის გზა. სალიტე-  
რატურო ნაწილი: მოხე მწერალი, სიტყვა გარიელისა პირუტყვების-  
შესრულებაზე, ლექსები, ცენტრი, დამაკირდი, ნეკროლოგები, გან-  
ცხადებები და სხ.

ფასი 10 გრამი 1 ბაზა.